



კაცონის და განკარგულებათა პრეზული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და განეხთა მთავრობისა.

1930 წლის აპრილის 1.	№ 6	ა/კსტსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მთართვე- ლობის მიერ გამოცემული.
-------------------------	------------	-------------------------------------------------------------------------------

ზ 0 6 1 5 6 0 :

- მუხ. 69. კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ.
- „ 70. „შრომის ბაზრის მოწევრიგებისა, საედიციო და საერთონარი დარგის მიმღებებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის საეკალისტების მდგრადებელის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაფენილების მე-5 მუხლის ლიტ. „არ შეცვლის შესახებ.“
- „ 71. 1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ.
- „ 72. დებულება ა/კსტსრ-ის დიდოროვან კოლექტურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფა-ცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაშემატივობის ხელისშეწყობი ფონ-დების შესახებ.
- „ 73. „ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრავწველობისა და ელექტრომეტრნების გრძელვადინის ღარისებრებისა და უკუდაბრუნებელი დაფინანსების წესის ძირითად დებულებათა“ 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.
- „ 74. მემკვიდრეობის წესით გადასული ქონების გადასახადის დებულების დამატების შესახებ.
- „ 75. ა/კსტსრ რკინის გზების სადგურების ბუფეტებში და სარკინიგზო ლინდაგის ახლო მიგარი სამეცნიეროს გაყიდვის აკრძალვის შესახებ.
- „ 76. ფედერატურული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების სხვ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის სასყიდ-ლით და უსასილდოდ გადაცემის წესის შესახებ.
- „ 77. ა/კსტსრ-ში სამშენებლო კონტროლის ორგანოების მიერ გადასახლევინებლი სამშენებ-ლო გამოსალების წესის დამტკიცების შესახებ.
- „ 78. დებულება ა/კსტსრ-ისა და მის შედეგენილობაში შემაგალი რესპუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ გამოცემლობათა შესახებ.
- „ 79. ა/კსტსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.
- „ 80. „სააკტოო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსტსრ სახალხო კო-მისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ის დადგენილების შეცვლის და დამატების შესახებ.

81. ამიერკავკასიის საცალური დაზღვევის საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ.

82. ა/ქსტრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამიჯნეო უსლებათა დებულების დამატების შესხებ.

83. „ა/ქსტრ-ის დიდოვან კალექტურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრები დაწესებულებთა მშენებლებისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების დაწულების დამტკიცების თარაზზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილების მე-7 და 8 მუხლების შეცვლის შესახებ.

84. ა/ქსტრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ა/ქსტრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც დამოუკიდებელი უწყებების, და მათი ადგანობრივი ორგანოების გაუქმებისა და მათი ფუნქციების საგვამო კომისიებისათვის გადაცემის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმართულებელი კომიტეტისა.

69. კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 16-ისა და 1930 წ. იანვრის 3-ის დადგენილებებთან დაკავშირებით, რომელი დადგენილებებითაც შეცვლილია და დამატებული სსრკ-ის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 28-ის დადგენილება „კონფისკებული, ბეითალმანი და უცატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“, — ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი იდგენს:

1. უფლება მიეცეს ა/კსტს უდეგენილობაში შემავალი რეპუბლიკების ერთობლივი აღმასრულებელი კომიტეტების 3 წლილიუმებს:

ა) დაბაჭესონ ხოლმე სხვადასხვა სახის ბეითალმანი და უპატრონო ქონებისა და აგრეთვე ა/ქსფსრ შედეგნილობაში შემავალი რესტციების ორგანოების მიერ კონფისკებული ქონების (გარდა იმ ქონებისა, რაც ორნიშნულია,, „კონფისკებული ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭო 1927 წ. მაისის 28-ისა და 1928 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილებების 1-ლი მუხლის „ა—„ი“ პუნქტებში) უსასილდღო გადაცემა ადგილობრივი საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტებისა და აგრეთვე პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაში;

8) დააწესონ ხოლმე გამონაკლისი „კონფისკუებული, შეითაღმან და უპატრინონ ქონების გამოყენების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური ორგანიზაციების კომიტეტისა და სახალხო კომისარისა საბჭოს 1927 წ. მაისის 28-ის დადგენილების მე-8 მუხლისა ის ქონებისათვის, რაც კონფისკისგანულია.



ძელი საგვაროვნო ყოფაცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულობათა საქ-
მებზე გამოტანილ სასამართლო განაჩენების თანახმად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს:

ა) იმ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხები, რაც კონფისკებულია
ძელი საგვაროვნო ყოფაცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულთა საქმეებზე
გამოტანილი სასამართლო განაჩენების თანახმად, მიაქციონ ჩამორჩენილ ერთა ქა-
ლებს შორის კულტურულ-განმანათლებლი მუშაობის გასაძლიერებლად საჭირო
ფონდების შექმნისათვის;

ბ) დამყარონ ამ ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აპრილის 19-ის დადგენილება „აღმოჩენი-
ლი განძის განკარგულების წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი,
მუხ. 94) გაუქმდებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის აღმასრულებელი

კომიტეტის მდიგარი ა. შავერდოვი.

1930 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამინისტრაციასის ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს.

70. „შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, სამედიცინო და სავეტერი-
ნარო დარგის მომუშავეებისა და სოფლისა და ტყის მეურნე-
ობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონის-
ძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლის ლიტერი „ი“ შეცვლის
შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სა-
ხალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის
მომუშავეებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომა-
რეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის

ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-სა და სექტემბრის 16-ის დადგენილებების შე-5 მუხლის ლიტ. „o“ მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქტიით.

„o) დაწესებულ იქნეს მინალები ჯამაგირის სამი პერიოდული მომატება თვეითეული სამი წლის მუშაობისათვის ჯამაგირის ოცი პროცენტის რაოდენობით. შეღავათი ეს გავრცელებულ იქნეს სამედიცინო და სავეტერინარო დარგების იმ მომზადებზე და აგრეთვე სოფლისა და ტყის მეურნეობის ისეთ სპეციალისტებზე, რომელთაც 1930 წ. პრილის 1-თვის აქვთ სამი წლის სამსახურის სტაჟი“.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. თბერევლის 28.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 227 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

71. 1930-31 წლის სახოფლო-სამეურნო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივზაციის ზრდა, რამაც უკვე მოიცვა ა/ქსფსრ-ის საგლებო მეურნეობათა თვალსაჩინო ნაწილი, ცალკეული რაიონების გადასელი მთლიან კოლექტივზაციაზე და აქედან წარმოშობილი ამოცანა—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია ამ რაიონებში,—ამასთან ერთად კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის უფრო მევრითად გატარება ამიერკავკასიის ყველა დანარჩენ რაიონში,—ყოველივე ეს ჰქონის აუკილებლობას, რათა ერთანაირ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი გადასწულ იქნეს ისე, რომ უზრუნველყოს დიდობან კოლექტიურ მეურნეობათა ზრდისთვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა.

კოლექტივზაციის შემდგომი ზრდისა, კოლმეურნეობათა გადიდრონებისა, მათი შემოსავლიანობისა და მათი საზოგადოებრივი ფონდების გადიდებისათვის ფართოდ ხელისშეწყობის ამოცანები მომავალი წლიდან კოლექტიური მეურნეობების პროგრესიული დაბევრიდან პროპორციულ დაბევრაზე გადასვლას; პროპორციული დაბევრით, რაც ინდივიდუალურ მეურნეობისათვის შემოღებულ წესისაგან შესამჩნევად განსხვავდება, გადასახადის განაკვეთი შემოსავლის თვითეულ მანეთზე არ გადიდება, მიუხდავად კოლექტიური მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდებისა.

რადგანაც ა/ქსუსრ-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ღარიბი და სა-შუალო საგლეხო ინდივიდუალური მეურნეობანი ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ სჭარ-ბობენ, ამიტომ ა/ქსუსრ მთავრობამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში არა თუ შეუნარჩუნა ამ მეურნეობათ 1929-30 წლის კანონით გათვალისწინებული შეღვათები, არამედ თვალსაჩინოდ გააფრითოვა ეს შეღვათები, განასულობით იმ ინდივიდუალურ მეურნეობათვის, რომელნიც აუმჯობეს-ბენ თავიანთ მეურნეობას, აფართოებენ ნათესებს, ამრავლებენ პირუტყვის რიცხვს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი მთელ რიგ ახალ შეღვათებს აძლევს იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელნიც აფართოებენ და აუმჯობესებენ ბამბისა, რობისა, კენაფისა და სხვა ძვირფასი კულტურების ნათესებს. აღნიშნული კულტურები აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის, რომელნიც—თავისი მხრით—საქანელს აწვდიან როგორც ქალაქის მუშებს, ისე გლეხთა მოსახლეობას.

იმ ღარიბ და საშუალო მეურნეობების წასახალისებლად, რომელნიც ცდილობენ გაადიღონ ისეთი პროდუქციის რაოდენობა, რაც ბაზარზე იყიდება, ან რასაც ყიდულობენ სახელმწიფო და კომპრატიული ორგანიზაციები სამრეწველო მეცხველეობის რაიონებში,—ა/ქსუსრ-ის მთავრობამ, გარდა იმ შეღვათებისა, რაც საკავშირო კანონით არის გათვალისწინებული, დააწესა მთელი რიგი ღამატებითი შეღვათები.

ამასთან შეერთდებით და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წ. თბერებულის 23-ს დამტკიცებული ერთობი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების საფუძველზე ა/ქსუსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთობი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-10 მუხლისა, მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და მე-12 მუხლის თანახმად შემოსავლის ქვემოდ ჩამოთვლილი წყაროებისათვის დაწესებულ იქნეს შემოსავლისათვის შემდეგი სა-შუალო ნორმები:

რესპუბლიკები	დესიატინა მიწის შემოსავლიანობა;									
	ტენი მე	სამი ტენი	ტე- ნის	ნაკა დი	სა- ლი	რები	განვი- დი	სა- მი	რე- ნი	მა- ნი
აზერბაიჯანის სსრ . .	52	18	150	200	165	175	150	26	52	—
სომხეთის სსრ . . .	52	18	150	230	165	175	185	26	52	—
საქართველოს სსრ:										
აღმოსავალ. საქართ. } დასავლეთ საქართ. } აფხაზეთი	52	18	150	240	180	175	150	26	52	350
	—	—	—	—	—	265	—	—	—	—

რესპუბლიკები	ერთი სული ოთხფეხი საქონლის შემოსავლ.					
	ცხენი, ლემი და ჯორი	მნიშვნელ- ფეხა რეკ- სანისაქონ, გარდა ხა- რის და კამერისა	ჩარი და კამერი	ვირი	ცხვარი და თხა	
აზერბაიჯანის სსრ	15	13	13	5	2—50	
სომხეთის სსრ	15	13	13	5	2—50	
საქართველოს სსრ:						
აღმოსავლ. საქართველო	15	13	13	5	2—50	
დასავლ. საქართველო						
აფხაზეთი	—	10	—	—	1—50	

2. მიენდოს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს: დააწესონ ცალკეული აღმინისტრატორიტრონორიალური ერთეულებისათვის, რომელიც შედიან რესპუბლიკების შედგენილობაში, შემოსავლიანობის ნორმები შემოსავლის (დესტინა მიწის შემოსავლიანობა და თითო სული ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობა) თვითეული წყაროსთვის, რაც ჩამოთვლილია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში; ამასთანავე, თვითეულ რესპუბლიკაში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა, განსაზღვრული იმ ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია რესპუბლიკისათვის.

3. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, დამოუკიდებლად რესპუბლიკაში დასაბეგვრი შემოსავალის საერთო თანხის შეცვლისა (დადგენილების მე-2 მუხლი), შეუძლიანთ დაწესონ:

ა) სარწყავი ნათესების შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები;

ბ) მებამბეობის რაიონებში მეურნეობათა ცალკეული კატეგორიებისათვის იმ სარწყავი მიწების შემოსავლიანობის გადიდებული ნორმები, რომლებიც გამოსადეგია ბამბისთვის და დათესილია მარცვლეული კულტურებით;

გ) შემოსავლიანობის ცალკე ნორმები: 1) მოლვარული და არამოლვარული სათობებისათვის და 2) ბოსტნებისათვის, ბალჩებისათვის და ბალბისათვის.

4. აბუსალათინის ნათესების ფართობი მებამბეობის რაიონებში დაბეგრილ იქნეს სარწყავი ნათესების შემოსავლიანობის იმ ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია უწევდული აღგილისათვის.

5. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-2 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და მე-12 მუხლის თანახმად, უკეთუ, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი დარგების გარდა, დაბეგრილ აქნება სოფლის მეურნეობ. სხვა სპეციალური დარგები, ამ წყაროების შემოსავლიანობის ნორმებს ცალკე-

ული ადგილებისათვის დაწყესებულ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

6. დაწყესებულ იქნეს ა/კსფსრ-ში მემინდვრეობის შემოსავლის განსაზღვრა ნათესების მიხედვით, ე. ი. მეურნეობაში ფაქტიურად დათხესილი მიწის მიხედვით.

7. ის შემოსავალი, რასაც იძლევა არამეტანიკური ძრავებით მომქმედი როლი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაჭიროვება, შეტანილ უნდა იქნეს დასაბეგრავ შემოსავალში: კოლექტიური მეურნეობისა—10 პროცენტის რაოდენობით და ინდივიდუალური მეურნეობისა—25 პროცენტის რაოდენობით.

8. საშინამრეწველო, სახელოსნო და სხვა არასამიწათმომქმედი შემოსავალი, როდესაც გამოყენებული არ არიან დაკირავებული მუშები, შეიტანება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში 50 პროცენტის რაოდენობით.

9. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 27 მუხლის თანაბეჭდ დაწყესებულ იქნეს შემდეგი პროცენტული ზედნართები სათანადო ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე (ე. ი. მემინდვრეობისა, მეცენატისა, სპეციალური დარგებისა და მესაქონლეობისა), აგრეთვე ინდივიდუალური მეურნეობების საერთო დასაბეგრავი შემოსავლის რაოდენობა, რომელი შემოსავლის მიხედვითაც ამ მეურნეობებს უნდა შეეფარდოს აღნიშნული პროცენტული ზედნართები.

მეურნეობის ცველა წყაროდან მისაღები დასაბეგრავ შემოსავლის საერთო თანხის მიხედვით სოფლის მეურნეობის შემოსავალზე დაწყესდება:

იმ მეურნეობისათვის, რომლის საერთო შემოსავალი:

500 მან. მეტია	600 მანეთამდე	5 პროც.
600 "	650 "	6 "
650 "	700 "	7 "
700 "	750 "	8 "
750 "	800 "	9 "
800 "	— "	10 "

შენიშვნა. პროცენტული ზედნართები არ შეეფარდება იმ მეურნეობას, სადაც 9 ან 10 მეტამელია და საერთო დასაბეგრავი შემოსავალი არ აღემატება 60 მანეთს თვითოულ მეტამელზე, სადაც 11 და 12 მეტამელია და საერთო დასაბეგრავი შემოსავალი არ აღემატება 65 მანეთს თვითოულ მეტამელზე; სადაც 13 და მეტი მეტამელია და საერთო დასაბეგრავი შემოსავალი არ აღემატება 70 მანეთს თვითოულ მეტამელზე.

პროცენტული ზედნართები არ შეეფარდება იგრეთვე იმ მეურნეობას, რომელიც, საქუთარი საწევი ძალისა და ინგენტრის უქონლობის გამო, ჰქირაობს ამ ძალასა და ინვენტრს.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი უნდა შეადგენდეს 2-დან 3 პროცენტამდე.

11. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ითვლება და ინდივიდუალური წესით იბეგრება, უკეთ მას აქეს შემდეგი ნიშნები:

ა) უკეთუ მეურნეობა სისტემატიურად იყენებს დაქირავებულ შრომას სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ან შინამრეწველობაში და საწარმოში, იმ შემთხვევას გამოყლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენებას იწვევს ამათუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თავისებურობა და იგი არ სცილდება მუშა ძალის დაქირავებისათვის დაწესებულ ფარგლებს.

მუშა-ძალის დაქირავების ფარგლებაზ, რაც არ იწვევს ინდივიდუალური წესით დაბეგრას, დაწესდეს:

მებალეობაში და მებრინჯეობაში	50 დღე.
მევენახეობაში	100 "
მებამბეობაში	100 "
მეთამბაქობაში	125 "
მესაქონლეობაში	ერთი მუჟემსის თანაშემწე.

შენიშვნა 1. მუშა-ძალის დაქირავების ფარგლებს სამარცვლეულო მეურნეობათათვის იმ რაიონებში, სადაც ეს აუცილებელია კლიმატიური და სხვა პირობების გამო, დასწესებენ ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები და ეს ფარგლები ან უნდა სცილდებოდეს 35 დღეს.

შენიშვნა 2. ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ შეამცირონ ეს ნორმები ცალკე რაიონებისათვის.

ქვრივთა, ობოლთა, ინგალიდთა და მოწაფეთა მეურნეობებში, რომელთაც არ ჰყავთ შრომის უნარიანი მამაკაცები, ან უკეთუ ეს შრომის უნარიანები სამსახურში იმყოფებიან ან მძიმე ავადმყოფები არიან, —ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის ყოლა და სეზონის დღეები ზემოდასახელმას ფარგლებში არ წარმოადგენს ინდივიდუალური წესით დაბეგრას ნიშანს;

ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს წისქილი, ყველ-კარაქის ქარხანა, ბურღულის საცეხო საწარმო, ფეტვის საცეხო საწარმო, საჩეჩელი და საპენტი საწარმონი, სასრესი ქარხანა, კარტოფილის აწარმო, ხილის ან ბოსტნეულის სანმობი, სანაყაფი საწარმო, ნორმებული ქარხანა ან სხვა სამრეწველო საწარმო და უკეთუ ყელა ამ საწარმოში გამოიყენება მექანიკურ ძრავი ან წყლისა და ქარის ძალა;

გ) უკეთუ მეურნეობა სისტემატიურად აქირავებს ამათუ იმ როტულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობისათვის და იღებს სასყიდელს;

დ) უკეთუ მეურნეობა სისტემატიურად აქირავებს გაწყობილ შენობას საცხოვრებლად ან საწარმოთა მოსათვესებრლად;

ე) უკეთუ მეურნეობა იჯარით იღებს მიწას იჯარის გამცემისათვის კაბალურ პირობებში;

ვ) ეკეთუ მეურნეობას, სავაჭრო ან სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით, იჯარით აქვს ოღებული ბალი, ვენაზი და სხვ.;

ზ) უკეთუ მეურნეობის წევრები ეწევიან გაჭრობას, მევაბშეობას ან მათ აქვთ სხვა არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის კულტის მსახურნი).

შენიშვნა. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, ამაერქავისის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით, შეაცხონ ეს ნუსხა.

12. ერთიანი სას.-სამ. გადასახადის გამონანგარიშება ა/ქსფსრ-ში დაწესებულ იქნება თვითეული ინდივიდუალური მეურნეობის მოელი შემოსავლის საერთო თანხისა და მჭამელთა რიცხვის მიხედვით (დებულების 35 და 37 მუხ.).

13. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 45 მუხლის თანახმად დაწესდეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის შემდეგი დაუმეგრავი მინიმუმი, კ. ი.—შემოსავლის უკიდურესი რაოდენობა, რომლის მიხედვითაც მეურნეობა აუცილებლად განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადისაგან:

ა) იმ ინდივიდუალური მეურნეობისათვის, სადაც 1 და 2 მჭამელია—110 მანეთის რაოდენობით; სადაც 3 და 4 მჭამელია—130 მანეთი; სადაც 5 და მეტი მჭამელია—150 მანეთი მეურნეობაზე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და ორტელისათვის—30 მანეთის რაოდენობით თვითეულ მჭამელზე, უკეთ მათი შემოსავალი გამოიანგარიშება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით, და 60 მანეთის რაოდენობით, უკეთ შემოსავალი განისაზღვრება ანგარიშების მიხედვით.

14. იმ შელავათების დამატებად, რაც დაწესებულია 1930-31 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებით, განთავისუფლებულ იქნება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისავან მსხვილებები რქოსანი საქონლის—ძროხისა, ხარისა, კემერისა, ფურქამერისა, აგრეოვე წვრილფეხა საქონლის—ცხვრისა და თხის—ნამატი; ცხენისა და ჯორის ნამატი განთავისუფლებულ იქნება იმ რაიონებში, სადაც ეს პირუტყვნი, ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით, ძირითად საწევ ძალის წარმოადგენენ.

15. სპეციალურ სამეცხარეო კოლექტიურ მეურნეობებში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრისაგან განთავისუფლებულ იქნება თვითეული ცხვარი და თხა.

16. რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების რაიონებში—ძროხა და ხარი, ხოლო მეცხვარეობის სამრეწველო რაიონებში—ცხვარი და თხა დაიბეგროს, 1928-29 წელთან შედარებით, ერთი-ორად შემცირებული შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით.

რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების და სამრეწველო მეცხარეობის რაიონების ნუსხას დაადგენენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები—იმ პირობით, რომ ამ ნუსხას შემდგომ დაამტკიცებს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

17. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 52 მუხლის დასამატებლად და 55 მუხლის თანახმად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება მიწის ის ფართობები, რომლებზედაც ჩაის პლანტაციებია, ზაფრანა, თუთის ნარგავები, რამი და კაუჩუკვანი მცენარეები; ის სათიბი ადგილები, რაც საძოვრებზე და საბალაზო ნაკვეთებზეა; აგრეთვე მეცხ-

ტკრეობით, მეფტრინველეობით და შინაური კურდლლის მოშენებით მიღებული შემოსავალი.

18. მონადირეობით მიღებული შემოსავალი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიხევრება მხოლოდ იმ რაიონებში, რომელსაც განსაზღვრავენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

19. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 52 მუხლით გათვალიწინებული შედეგათები, რაც სოის ნათესების ფარითობებისათვის არის დაწესებული, ა/ქსტსრ მებამბეობის რაიონებში არ უნდა იქნეს შეფარდებული.

20. მოსავლიანობის გადიფებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა წახალისების მიზნით — დაწესდეს გადასახადის მონაცემები კოლექტურ მეურნეობებისათვის 10 პროცენტის რაოდენობით და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის 5 პროცენტის რაოდენობით, უკეთ ეს მეურნეობანი განახორციელებენ მოსავლიანობის გამადიდებელ მარტივ ღონისძიებათა მინისტრს (წმინდა ჯიშის თესლის დატესვა, მოელი თესლის დაბარისება და დაწმელვა, მწერივად თესვა, მავნებლებთან და სარეველასთან ბრძოლა, ადრეული ნასვენი, დოთესილი ნასვენი, ზამთრისპირული ხნული, ზოლიანი ნასვენი გააღვიან რაიონებში, ზამთრის ნათესებში საქონლის საბალახოდ გაშვების მოსპობა, მწერ სასუქის გამოყენება, საირიგაციის სისტემების თავის დროშე გაწმენდა და წესიერად მოვლა, მორწყვა ნორმების მიხედვით და იმ ვადაზე, რაც დაწესებულია სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში და სხვ.) და მეცხოველეობის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათ (საქონლის წესიერი კვება და მოვლა, ზაფხულობით დამატებითი კვების შემოღება, საზოგადოებრივი საგრილებელი პუნქტების მოწყობა, მოსარდი საქონლის წესიერი აღზრდა, საქონლის საზოგადოებრივი კვების მოწყობა, სათობ და საბალახო აღგილებში მელიორატიული ღონისძიებათა განხორციელება და სხვ.).

უმარტივეს ღონისძიებათა ნუსხას დაადგენენ ა/ქსტსრ შედგენილობაში შეაგალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

კოლექტურ მეურნეობების უურო მალალ დონემდე მიღწევისათვის ინდივიდუალურ და კოლექტურ მეურნეობათათვის დაწესდება სხვადასხვა ნუსხები.

21. ამა თუ იმ აღგილისათვის დაწესებული ნორჩა ნათესის შემოსავლიანობისა მცირდება: საადგილმამულო საზოგადოებათათვის — 15 პროცენტით, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის — 10 პროცენტით, უკეთ ისინი პირველად გადავლენ მრავალმინდვროვან სისტემაზე.

22. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრისაგან განთავისუფლდება:

ა) ჯიშიანი საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ყოველი სახის მოწონებული სანაშენო ცხოველი კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებში;

ბ) ჯიშიანი და მოწონებული სანაშენო საქონელი კველა საბჭოთა მეურნეობაში;

გ) საჯიშების საქონელი;

დ) სახელმწიფო ან აღგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი საჯიშე მეურნეობანი.

23. განთავისუფლდეს გადასახადისაგან ტენიკური კულტურებისა და ბალახების სათესულეებით დატერილი ფართობები.

24. განთავისუფლდეს დაბეგრისაგან მთლად ყვითელი ომბაქოს, 1929-30 წელთან შედარებით, ნამატი ფართობი.

25. ერთი წლის განმავლობაში განთავისუფლდეს დაბეგვრისაგან ბოსტნებისათვის ახლად გამოყენებული ფართობები.

26. ერთანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 92 მუხლის თანახმად, გადასახადის შესატანად ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დაწესდეს შემდეგი უკიდურესი გადები:

1-ლი ვადა ოქტომბრის 1-ლი—შეწერილი გადასახადის 30 პროცენტი;

2-ე ვადა დეკემბრის 1-ლი—შეწერილი გადასახადის 50 პროცენტი;

3-ე ვადა—იანვრის 1-ლი—შეწერილი გადასახადის 20 პროცენტი.

შენიშვნა. გადასახადის შეტანის უკიდურესს ვადას აქტაზეთის სს რესპუბლიკისათვის დაწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

27. ინდივიდუალური წესით დაბეგრილ კულაკურ მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი რაოდენობის შეტანის ვადად დაწესდეს 1930 წლის ოქტომბრის, 1-ლი.

ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უცლება აქვთ შესცვალონ ეს ვადები მებამბეობისა და მეთამბაქობის რაიონებისათვის.

28. ამა დალგენილების 26 და 27 მუხლებით განსაზღვრული ვადების მიხედვით ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები დაწესებენ გადასახადის შეტანის ვადებს აეტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის და ოლქებისა და მაზრებისათვის.

29. ერთანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩიტარება სოფლად დაეკისრებათ სასოფლო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ქალაქის ტიპის იმ დასახლებული აღგილების საქალაქო საბჭოებს, სადაც, ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილების თანახმად, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან ის პირი, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევენ.

30. სასოფლო საბჭოებს დაეკისრებათ:

ა) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა სოფლობითი სიების შედგენა, შემოსავლის წყაროთა და მცამელთა აღნუსხვა;

ბ) გადამხდელთათვის გადასახადის საშენაწერო ფურცლების ჩაბარება;

გ) სარაიონო ოობისარულებელი კომიტეტების დავალებით იძულებითი ღონისძიების მიღება არაპირიან გადამხდელთა წინააღმდეგ გადასახადის გადახდევინებისათვის.

31. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებად ყველგან სოფლის საბჭოებთან არსდება, როგორც დამხმარეობანოები, სასოფლო სააღნუსხვო კომისიები.

32. სასოფლო სააღნუსხვო კომისიის წევრებად არიან: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა საურთიერთო დამარტინის კომიტეტის თავმჯდომარე და სოფლის ყრილობის მიერ არჩეული. პირი.

სასოფლო სააღნუსხვო კომისიის თავმჯდომარედ არის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

სასოფლო სააღნუსხვო კომისიის ის წევრები, რომელნიც სოფლის ყრილობაზე არიან არჩეული, კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმ საქმეების განხილვის დროს, რაც ეხება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებას სათანადო სოფლებში.

33. სასოფლო სააღნუსხვო კომისიებს დაეკისრებათ:

ა) სოფლობითი სიების შედგენა და შემოსავლის წყაროთა და მჭამელთა აღნუსხვა;

ბ) წინასწარი განსაზღვრა ოვითეული მეურნეობის არასამიშაომოქმედო შემოსავლის რაოდენობისა;

გ) წინასწარი შედგენა კულაკურ მეურნეობათა სიებისა და მათი შემოსავლის გამორკვევა;

დ) დასკვნის მიცემა გადამხდელთა მიერ შეღავათებისა და მონაკლებების თაობაზე შეტანილი საჩიტოებისა და შუამდგომლობების გამო.

34. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ:

ა) შემოწმონ სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სოფლობითი სიებისა და შემოსავლის წყაროების აღნუსხვის სისტორე;

ბ) დაადონ, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 82 მუხლის წესისამებრ, ჯარიმი გადასახადის გადამხდევინებელი ორგანოების წინაშე შემოსავლის წყაროების (მიწისა, საქონლისა და სხვ. რაოდენობის) დამალუისათვის;

გ) შეუფარდონ გადამხდელთ ძძულებითი ღონისძიება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამდევინებისათვის;

დ) მიიღონ გადასახადი და გადაუზარკონ სათანადო მიმღებ დაწესებულებას;

ე) დაუბრუნონ ან გაუბარონ შემტანთ ზედმეტად შეტანილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;

ვ) აწარმოონ ცალქე გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე ერთიანი სას.-სამ. გადასახადის მთელი ანგარიშტარმოება და ინგარიშება;

ზ) გაუშოონ საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გადასახადის გადახდევინებას რაიონის ფარგლებში.

35. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებიან დაარსდებიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო ნაწილის გამგე;

გ) საადგილმმულო ორგანის მომუშავე;

დ) სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირის გამგეობის წევრი;

გ) ორი გლეხი: ერთი—გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის მიერ დანიშნული, ხოლო მეორე—სათანადო სოფლის ყრილობის მიერ არჩეული.

36. ქალაქის ტიპის დასახლებულ დაგილებში, სადაც, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილების თანახმად, შემოღებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახლით დაბეგრა, საქალაქო საბჭოებიან დაარსდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარებით. კომისიის შედგენილობაში შედიან სათანადო საფრინანსო ორგანოს, ქალაქის მიწების გამგებელი ორგანოს და სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის თითო წარმომადგენელი, მათივე დანიშნისამებრ, და გადამზღვდელთა ერთი წარმომადგენელი.

37. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო და საქალაქო კომისიებს დაეკისრებათ:

ა) განსაზღვრონ გადამზღვდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა და საბოლოოდ განსაზღვრონ იმ მეურნეობათა მთელი დასაბეგრი შემოსავლის თანხა, რომელთაც აქვთ არასამიწათმოქმედო საშოვარი;

ბ) საბოლოოდ დაამტკიცონ ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სიები და განსაზღვრონ მათი შემოსავლი;

გ) განთავისუფლონ ერთიანი სას.-სამ. გადასახადისაგნ მთლიან ან ნაწილობრივ სტიქიური უბეგდურებით დაზარალებული მეურნეობანი (დებულების 81 მუხ.);

დ) გადასწყვიტონ გადამზღვდელთა საჩივრები (საბჭოთა მეურნეობების გარდა) შემოსავლის წყაროების არასისწორით აღნუსვისა, შემოსავლის თანხის არასისწორით განსაზღვრისა და შესაწერი გადასახადის არასისწორით გამოანგარიშების თაობაზე;

ე) მანიქონ გადამზღვდელთ კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და მონაკლები;

38. აეტონომიური რესუბლიკებისა და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამსრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისან, აგრეთვე საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტისან მოეწყობიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სახალხო კომისართა საბჭო ან საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი;

ბ) სათანადო საფრინანსო, საადგილმამულო და სტატისტიკური ორგანოების და პროფესიონალური ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი მათივე დანიშნისამებრ;

გ) გლეხთა საურთიერთო დახმარების სათანადო კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელი.

39. წინა მუხლში აღნიშნულ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიებს დაეკისრებათ:

I. განიხილონ წინასწარ საქითხები და წარადგინონ თვითითი დასკვნები სათანადო სახალხო კომისართა საბჭოში და აღმასრულებელ კომიტეტში:

ა) რაიონებისა და სოფლების შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;
ბ) სხვადასხვაგვარი ბოსტნებისა, ბაღჩებისა და ბაღების შემოსავლიანობის
სხვადასხვა ნორმების დაწესების შესახებ;

II. გადასწყვიტონ სათანადო შემთხვევაში, ზედამხედველობის წესით, ერ-
თიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვემდგომი კომისიების დაღგენილე-
ბებზე შეტანილი საჩიტრები.

40. გადამხდლელთა დასაბეჭრი შემოსავლის განსაზღვრა, შესაწერი გადასა-
ხადის გამოანგარიშება, საშენაწერო ფურცლების და საპირადო ანგარიშების
შედგენა დაკავისრებათ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სა-
ხაობო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ ამა დებულების მე-40 მუხლის
აღნიშნული მივაღლებანი ცალკეულ შემთხვევაში დაკისრონ საოლქო სა-
ფინანსო განყოფილებებს.

41. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომი-
სართა საბჭოებთან მუჟწყობიან რესპუბლიკანური საყადასახადო კომისიები—
აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განსაზღვრული
შედგენილობით.

42. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რესპუბლიკანურ კომი-
სიებს (მუხ. 41) დაკავისრებათ:

1) განიხილონ წინასწარ საკითხები და წარადგინონ რესპუბლიკების სა-
ხალხო კომისართა საბჭოებში თავიანთი დასკენები:

ა) ქალაქის ტიპის იმ დასახლებული ადგილების სიების დადგენის შესახებ,
სადაც სოფლის მეურნეობის მიმდევრი პირი იბეგრებიან ერთიანი სასოფლო-
სამეურნეო გადასახადით, აგრეთვე იმ პირთა კატეგორიების განსაზღვრის შე-
სახებ, რომელიც ამ ქალაქ-ადგილებში სცხოვრობენ და იბეგრებიან ერთიანი
სასოფლო-სამეურნეო გადასახადით (დებულების მე-4 მუხლი);

ბ) შემოსავლის ცალკეული წყაროების შემოსავლიანობის ნორმების დაწე-
სების შესახებ;

გ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის ვადების დაწესე-
ბის შესახებ;

დ) მოსავლიანობის გაღიდებისა და მეცხოველეობის გაუმჯობესებისათვის
საჭირო უმატტივეს ლონისმიერათი წუსის დადგების შესახებ.

43. ამა დადგენილების აღსასრულებლად ა/კსფსრ შედგენილობაში შემა-
ვალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ და გამო-
აქცევნონ თავიანთი დადგენილებანი არა უგვიანეს 1930 წლის პრილის 1-სა.

44. ამ დადგენილებას შესავარდებლად სახელმძღვანელო დირექტივების
გამოცემა დაკავისროს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ბომბინი.

1930 წ. მარტის 9.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 64 №-ში 1930 წ. მარტის 11-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი ბილი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

72. ა/კსფსრ-ის დიდროვან კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელის შემწყობი ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგნენ:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ-ის დიდროვან კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელის შემწყობი ფონდების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ განათლების სახალხო კომისარიატებას და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებას, თავიანთი გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგნის ღრის, გაითვალისწინონ და უზრუნველყონ დიდროვან კოლექტიურ მეურნეობებში, გარდა სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისა და მათთვის მომსახურეობის გაწევისა, აგრეთვე ამ მეურნეობების კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის მომსახურეობის გაწევა ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოს გეგმის შესაბამისად.

3. დაწესებულ იქნეს, რომ დიდროვან მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და მათთვის მომსახურეობის გაწევის გეგმა უნდა შეაღინონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კოლექტიური მეურნეობების ცენტრებმა, განათლების სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და სამომხმარებლო კომპერაციის რესპუბლიკური კავშირის მონაწილობით; ეს გეგმა, ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოსთან ასევებული კომიტეტის (დებულების მე-7 მუხ. გათვალისწინებული) მეცვეობით და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმის კომისიის დასკვნით, წარედგინება დასამტკიცებულად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს არა უგვიანეს მარტის 1-სა.

4. მიენდოს ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოს წარადგინის მრი კვირის ვადაზე ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში 1929/1930 წლის საორიენტირო გეგმა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შვერდლოვი.

1930 წ. მარტის 15.
ტფილისი—სახალხო.

დებულება ა/კსფსჩ-ის დიდობაზე კოლექტიურ შეუძლებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშევრებლობისა და გაფარგისათვის ხელის შემთხვების უღებელების უსახება.

1. დიდობაზე კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობის გაშორისათვის მატერიალური ბაზისის შესაქმნელად—ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რეპსულიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან შეიქმნება დიდობაზე კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელის შემწყობი ფონდები.

2. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან ცენტრალური ფონდი შესდგება:

ა) წმინდა მოვების ანარიცხებისაგან ხუთი პროცენტის რაოდენობით, დაწყებული 1928/1929 წლის ბალანსის მოვებით: 1) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა, 2) სამომხმარებლო კომპერატივების ამიერკავკასიის კავშირის (კულტურულ-საყოფაცხოვრებო ლონისძიებათათვის გადადებული ანარიცხების სერითო თანხის ანგარიშები) და 3) სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის სადარგო სისტემის ამიერკავკასიის კავშირებისა, ხოლო ვიდრე სადარგო სისტემები მოწყობოდება—ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის კავშირთა კავშირის ხარჯები;

ბ) ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული ყოველწლიური ასსიგნებისაგან;

გ) სხვადასხვა შემოსავლისაგან.

3. რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან ფონდები შესდგება:

ა) წმინდა მოვების ანარიცხებისაგან ხუთი პროცენტის რაოდენობით, დაწყებული 1928/1929 წლის ბალანსის მოვებით: 1) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ყველა დაწესებულებისა, გარდა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა; 2) სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის სისტემის ყველა ორგანიზაციისა, გარდა მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის მე-2 პუნქტში იღნიშნული ამიერკავკასიის ცენტრებისა; 3) სამომხმარებლო და სარეწაო კომპერაციის სოფლად მომუშვევე ყველა ორგანიზაციისა, 4) იმავე სახის კომპერაციების ყველა რესპუბლიკანური შენართობის (აუტომობილური რესპუბლიკებისა და ოლქების გამოუკლებლივი);

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული ყოველწლიური ასსიგნებისაგან;

გ) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ცენტრალური ფონდის სახსარისაგან, რაც წარმართული იქნება ამა მუხლში იღნიშნულ ფონდებში—დიდობაზე კოლექტიურ მეურნეობებში კოლექტიურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობის დაკრედიტებისათვის;

დ) სხვა შემოსავლისაგან.

4. ცენტრალური ფონდის სახსარს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების ფონდებს შორის გაანაწილებს ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეო-

ბათა საბჭოსთან არსებული განსაკუთრებული კომიტეტი (მუხ. 7) ა/ქსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო შექმენის გეგმის შესაბამისად. იმასთანავე, თვითეული რესპუბლიკისათვის მიცემული სახსარი უნდა შესაბამებოდეს თვით კოლექტურ მეურნეობების მიერ კულტურულ-საყოფაცხოვრებო შექმენის გეგმის შესაბამისად. იმასთანავე, თვითეული რესპუბლიკისათვის მიცემული სახსარი უნდა შესაბამებოდეს თვით კოლექტურ მეურნეობების მიერ კულტურულ-საყოფაცხოვრებო შექმენის გეგმის შესაბამისად. 1-ლ მუხლში იმნიშნული ცენტრალური ორგანიზაციის ბალანსზე აღინიშნება სპეციალური სახსარის სახით, რაც ამიერკავკასიის სასოფლო-სამეცნიერო ბანკის განკარგულებაშია.

ა/ქსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული სახსარი ილინუსხება ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

5. რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეცნიერო ბანკებში თავმოყრილი სახსარი, როგორც ცენტრალური ფონდიდან, ისე მე-3 მუხლში ილინული ორგანიზაციების ანარიცხებიდან, მიიღევა კოლექტურ მეურნეობათათვის სესხის მისაცემად შემდეგ დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის: ბაწვთა ბაგებისა, ბაგეთა ბაღებისა და ბანებისა, საზოგადო სასადილოებისა, პურის საცხობებისა, სამრეცხელოებისა, აბანოებისა, სამეცნიერო პუნქტებისა, კლუბებისა, ქონ-სამკონხელოებისა და ბიბლიოთეკებისა.

6. ფონდების სახსარი ინახება სასოფლო-სამეცნიერო ბანკებში და ილინუსხება განსაკუთრებული ბალანსთა. ფონდების ოპერაციების წარმოება დაეკისრება სასოფლო-სამეცნიერო ბანკების აპარატს.

7. ცენტრალური ფონდის სახსარის განსაწილებლად, ფონდების სახსართა გამოყენების გეგმების განსახილველად და ამ გეგმების აღსრულებისათვის თვალყურის სადენებლად—ამიერკავკასიის კოლექტურ მეურნეობათა საბჭოსთან არსდება განსაკუთრებული კომიტეტი ამიერკავკასიის კოლექტურ მეურნეობათა საბჭოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, სასოფლო-სამეცნიერო კომისარიაციის კავშირთა კავშირისა, ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეცნიერო ბანკისა, და სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირის თითო წარმომადგენლისა და „სახალხო კვების“ სააკციო საზოგადოების რწმუნებულის შედგენილობით.

8. რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეცნიერო ბანკებში თავმოყრილ სახსართა განკარგულება დაეკისრება რესპუბლიკანურ კოლექტურ მეურნეობათა ცენტრებთან მოწყობილ კომიტეტებს შემდეგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა (თითო) შედგენილობით: კოლექტურ მეურნეობათა რესპუბლიკანური ცენტრისა, სასოფლო-სამეცნიერო კომისარიაციის რესპუბლიკანური კავშირისა, რესპუბლიკანური მიწათმოქმედებისა, ფანანსთა, განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირებისა და აგრეთვე „სახალხო კვების“ სააკციო საზოგადოების რწმუნებულისა.

რესპუბლიკანური კომიტეტი განიხილავს და დაამტკიცებს სახსართა გამოყენების გეგმას, გადასწუვეტს ცალკეული კოლექტური მეურნეობებისათვის

სესხის მიცემას, თვალყურს ადევნებს სესხის სათანადოდ გამოყენებას და კონტ-
როლს გაუწევს სათანადო რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანქში ფონდის
სხსართა ტრიალს და აღნუსხეას.

9. ფონდებიდან სესხი გაიცემა დიდროვანი კოლექტიური მეურნეობების
განცხადებისამებრ მე 5 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა მშენებლობისა და
გაწყობისათვის—ა/კსფსრ უმაღლესი კუნომიური საბჭოს მიერ დამტკაცებული
კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესაბამისად.

ეს სესხი გაიცემა იმ პირობით, უკეთ ამა თუ იმ დაწესებულების მშე-
ნებლობასა და გაწყობაზი კოლექტიური მეურნეობა მონაწილეობას იღებს თა-
ვისი სახსარით არა ნაკლებ ვიზრე მშენებლობის და გაწყობის საერთო ღირე-
ბულობის ოცდათი პროცენტის რაოდენობით.

10. კაპიტალური მშენებლობისათვის სესხი გაიცემა ოცდახუთი წლის ვა-
ლით; ამასთანავე, სესხის გადახდა დაწყებულ უნდა იქნეს მესამე წლიდან.

11. ცალკეულ შემთხვევაში რესპუბლიკანური ფონდის სახსარიდან შეიძ-
ლება გაიცეს უკუდაუბრუნებელი დახმარება დიდროვან კოლექტიურ მეურნეო-
ბაზი საბავშვო დაწესებულებისა, კლუბისა, ქოხ-სამკითხველოს და ბიბლიოთეკის
მშენებლობისა და გაწყობისათვის.

12. კაპიტალური მშენებლობისა და გაწყობისათვის გაცემულ სესხზე სარ-
გებელი გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს ორი პროცენტისა წლიურად.

დადგენილება ამინისტრაციის ცენტრალური აღმასრულე- ბელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარობრივი საგარეოსი.

73. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და
ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუ-
დაუბრუნებელი დაფინანსების წესის ძირითად დებულებათა
1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სა-
ხალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-
სართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 16-ის დადგენილების შესაბამისად—“ადგი-
ლობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობის და ელექტრომეურნეობის
გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის
1929 წ. ივნისის 25-ის ძირითად დებულებათა 1-ლი მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ.
1929 წ. მე-19 ს. 172) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და
ელექტრომეურნეობის გრძელვადიან დაკრედიტების, საამისოდ საჭირო სახსა-
რის შეგროვებას და აგრძოვე აღნიშნული მრეწველობისა და ელექტრომეურ-

ნების დაფინანსებას უკუდაუბრუნებელი საბიუჯეტო ასსიგნებიდან აწარმოებენ ადგილობრივი კომუნალური ბანკები. ნაწილი ამ ბანკების მიერ შეეწყელობილი სახ- სარისა, რაც საშენი მასალების ადგილობრივი შრეწყელობისათვის არის დანიშ- ნული, გადაეცემა გრძელვადიანი დაქრედიტების ბანკს. ამ ბანკის მიერ აღნიშნული სახსარის ხარჯზე საშენი მასალების ადგილობრივი შრეწყელობის გრძელვადიანი დაქრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესი განისაზღვრება გან- საკუთრებულად".

1-ლი მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნეს ჭინანდელი რედაქციით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 15.

ტფილისი-სახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 76 №-ში 1930 წ. მარტის 24-ს.

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.**

**74. მემკვიდრეობის წესით გადასული ქონების გადასახადის დე-
ბულების დამატების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სა-
ხალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ს დამტკიცებული „მემკვიდ-
რეობისა და გაზეუბნის წესით გადასული ქონების გადასახადის დებულების“
მე-11 მუხლის (ა/ქსფსრ კან. კრ. მე-14 №-ი, მუხ. 111) დაემატოს „ე“ პუნქტი
შემდეგი შინაარსისა:

„ე) ის ანაბარები, რაც შეტანილია საქრედიტო დაწესებულებაში შესანა-
ზად და რაც შეიცავს სესხთა ობლიგაციებს, მთავრობის მიერ გარანტირებულ
სესხთა ობლიგაციებს, აგრეთვე მოსკოვის საგუბერნიო აღმასრულებელი კომი-
ტეტის შინაარი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს“ (სსრკ კან. კრ. 1929 წლის
მე-20 №-ი, მუხ. 175).

ბ. წინადაღება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცელილებანი, რაც გამომდინარეობს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 16-ის დადგენილებიდან—საქართველო დაწესებულებაში სესხთა ობლიგაციებად შეტანილი ანაბარების თაობაზე განკარგულების მოხდენისა სიკედილის საშემთხვეოდ და ამ ანაბარებზე მემკვიდრეობის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 15.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ასამისართა საბჭოს საბჭოს კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სასახლეო კომისართა საბჭოსი.

75. ა/კსფსრ რეინის გზების ბუფეტებში და სარკინისგზო ლიან-დაგის ახლო მაგარი სასმელების გაყიდვის აქრძალვის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აიკრძალოს ა/კსფსრ-ში რეინის გზების სადგურების ბუფეტებში და ფარდულებში მაგარი სასმელების გაყიდვა.

შენიშვნა. ნებადაროოლია გაყიდვა ლვინისა სიმაგრით 14 გრადუ-სამდე და ლუდისა.

2. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ წინადაღება მისცენ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს—აქრძალონ მაგარი სასმელების გაყიდვა, გარდა ლვინისა სიმაგრით 14 გრადუსამდე, რეინის გზების ლიანდაგის ახლო მდგბარე ყველა პუნქტში ისეთ მანძილზე, რასაც განსაზღვრავენ თვით აღმასრულებელი კომიტეტები ადგილობრივი პირობების მიხდვით.

3. ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მარტის 14-ის დადგენილება „ამიერკავკასიის რეინის გზების ლიანდაგის ახლო სპირტის სასმელების ვაჭრობის შესახებ“ (ა/ქსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-4 №-ი, მუხ. 45) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 15.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ.

76. ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის სასყიდლით და უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 11-ის დადგენილების 1-ლ მუხლში (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 42 №-ი, მუხ. 305) ჩამოთვლილი ქონება, რაც ა/ქსფსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა გამგებლობაშია, შეიძლება გადაიცეს სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს გამგებლობაში სასყიდლით ან უსასყიდლიდ შემდეგი წესით:

ა) უკეთ ქონება იმავე უწყების დაწესებულებას ან საწარმოს გადაცემა — უწყების ხელმძღვანელის ნებართვით;

ბ) უკეთ ქონება გადაცემა ისეთ დაწესებულებას ან საწარმოს, რომელიც ამა თუ იმ უწყების შედეგის მიღებით 100 ათას მანეთამდე — უწყების ხელმძღვანელის ნებართვით;

გ) უკეთ ქონება გადაცემა ისეთ ფედერატიულ ან რესპუბლიკანურ დაწესებულებას თუ საწარმოს, რომელიც ამა თუ იმ უწყების შედეგის მიღებით არ

შედის, თანხს რაოდენობით 100 ათას მან. მეტისა—უშეების ხელმძღვანელისა და აქტუალ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საერთო ნებართვით;

დ) უკითხ ქონება გადაეცემა აღვილობრივ დაწესებულებას ან საწარმოს;

5) თანხის რაოდენობით 100 ათას მან. შეტყისა, ხოლო არა უშეტყის 2 მილიონი მანეთისა—უშეტყისა ხელმძღვანელისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიაზეს საერთო ნებართვით;

8) თანხის რაოდენობით 2 მილიონ მან. მეტისა—აკსფერ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს წევართვით.

2. ა/ქსფსრ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა და საწარმოს მიერ სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის ისეთი ქონების გადაცემის შესი, რაც მოხსენებული არ არის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. იქნისის 11-ის დადგენილების 1-ლ მუხლში, განისაზღვრება თვითოული უშებეძისათვის მისი ხელმძღვანელის მიერ—ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატან შეთანხმებით.

3. სსრე-ის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 11-ის დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი ქონება, რაც კამერციული (სამუზეუნო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედი ფუდერატიული და ორგანული კანური მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა გამგებლობაშია, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფო საწარმოს და დაწესებელებას შემდეგი წესით:

ა) საჭარმოს გამეცების მიერ—უსასყიდლოდ, იმ დაწესებულების ნებართვით, რომლის გამეცლობაშიაც ფონდია. ხოლო მოძველებული ან უვარებისი ქონება—დამოუკიდებლად;

ბ) იმ დაწესებულების მიერ, რომლის გამგებლობაშიაც საწარმო, —სასყიდლით ან უსასყიდლოდ, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს სპეციალური კანონებით დაგენილი წესი საწარმოსათვის ქონების ჩამორითების შესახებ.

უკეთუ გადასაცემი ქონების ლირებულება, — გარდა იმ ქონებისა, რამაც დაპატიჟვა თავისი წარმოებით მნიშვნელობა, — 2 მილიონ. მან. ოლეგატება და თანაც ქონება სხვა უწყების ფედერატიულ ან რესპუბლიკანურ საწარმოს თუ ღამისტებულებას გადაცემი, ეს გადაცემა უნდა მოხდეს ა/ქსტსრ ფინანსთა სახალხო კრიმისტართან შეთანხმებით.

ხოლო, უკეთუ ზემოაღნიშვნული ქონება, რომელიც 2 მილ. მანეთ. მეტი ლირებულებისა, გადაუცემ აღილობრივ საჭაროს ან დაწესებულებას, ასეთი გადაკეთისათვის საჭიროა აქსილი უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს ნებართვა.

4. ამა დადგრენილების წესისამებრ გადასაცემ ქონებას გადამცემი დაწეს-
ბულება თუ საწარმო შეუდგენს აწერილობას და შეაფასებს იმ წესების თანახ-
მად, რასიც დამტკიცებს ა/კსტსრ ფინანსთა სახალოო კომისარიატი—ა/კსტსრ
სახალოო შეუზრუნველის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხებით.

5. სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საჭაროს გამგებლობაში ისეთი ქონების გადაცემის წესი, რაც ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისა და აგრძელებულ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოს გამგებლობაშია, განისაზღვრება აკცესარ შეღებილობაში შემიგალი რესპუბლიკის კანონმდებლობით.

აღნიშნული გადაცემა მოწესრიგდება სააკციო საზოგადოებათა დებულებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 15.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 231 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

77. ა/ქსფსრ-ში სამშენებლო კონტროლის ორგანოების მიერ
გადასახდევინებელ სამშენებლო გამოსალებთა წესების დამ-
ტკიცების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები ა/ქსფსრ-ში სამშენებლო კონტრო-
ლის ორგანოების მიერ გადასახდევინებელ სამშენებლო გამოსალებთა შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დროებ. აღმ. ა. ბანოვიჩი.

1930 წ. მარტის 18.
ტფილისი—სასახლე.

შესები ა/კსუსრ-ზი სამუშაოებლო კონტაქტის რაოგანოების მიხედვის მიხედვის გადასახდევინებელ სამუშაოებლო გამოსაღებთა შესახებ.

ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი, ა/კსუსრ შედეგის მიხედვის გადასახდების რესუსტიკის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი და სამშენებლო კონტროლის აღგილობრივი ორგანოების სასყიდელს პროექტებისა და ხარჯთალრიცხვების განსახილველად წარმოებული მუშაობისა, აგრეთვე ქვემოდ ჩამოთვლილი სხვა მუშაობისათვის ახდენებენ შემდეგ საფუძველზე:

§ 1. გინათმშენებლობის ახალ სამუშაოთა პროექტებისა და საცხოვრებელი შენობების კაპიტალური რემონტის სამუშაოთა პროექტების განხილვისათვის სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი შეკალის მიხედვით:

მდგრადი კატეგორია	როცა სამუშაო ღირს	გ ა ნ ხ ი ლ გ ა	
		შესათანხმებლად	დასამტკიცებლად
1	3.000 მან.-დე	3.000 მან.-დე	12 მან.
2	3.000 მან.-დან	5.000 "	12 მ.-დან 19 მ.-დე
3	5.000 "	10.000 "	19 " 37 "
4	10.000 "	50.000 "	37 " 150 "
5	50.000 "	200.000 "	150 " 325 "
6	200.000 "	600.000 "	325 " 570 "
7	600.000 "	1.000.000 "	570 " 665 "
8	1.000.000 "	2.000.000 "	625 " 760 "
9	2.000.000 მან. მეტი		0,038%
			0,045%

§ 2. სხვა სახის მშენებლობის ახალ სამუშაოთა პროექტებისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა პროექტების განხილვისათვის სასყიდელი ქვემოდევნო შეკალის მიხედვით გადაპირდებათ შემდეგი კატეგორიის ორგანოებს, რომელიც მშენებლობას აწარმოებენ:

- ა. სახელმწიფო ან აღგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანოებს.
- ბ. სამეცნიერო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო ორგანოთ და საჭარბოთ, სახელმწიფო და შერეულ სააქციო საზოგადოებათ, საპაიო ამხანაგობათ და აგრეთვე კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათ.
- გ. კერძო პირთ, კერძო სააქციო საზოგადოებათ, ამხანაგობათ და საწარმოთ:

କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର	ବିଭାଗ ଓ ଉଦ୍ଦେଶ୍ୟ	୧		୨		୩	
		ଗାନ୍ଧିନୀ ଲାଭ		ଗାନ୍ଧିନୀ ହର୍ଷ		ଶ୍ରୀତାନ୍ତିକାରୀ	ଦାତାତ୍ମ୍ୟପଦା
		ଶ୍ରୀତାନ୍ତିକାରୀ ଲାଭ	ଦାତାତ୍ମ୍ୟପଦା	ଶ୍ରୀତାନ୍ତିକାରୀ ଲାଭ	ଦାତାତ୍ମ୍ୟପଦା		
1	3,000 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	18 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	21 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	21 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	24 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	36 ଟଙ୍କା.	40 ଟଙ୍କା.
2	3000 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 5000 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	18 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 25 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	21 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 30 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	21 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 30 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	24 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 37 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	36 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 50 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	40 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା 60 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା
3	5000 „ 10000 „	25 „ 55 „	30 „ 65 „	31 „ 67 „	37 „ 80 „	50 „ 110 „	60 „ 130 „
4	10000 „ 50000 „	55 „ 205 „	65 „ 245 „	67 „ 260 „	80 „ 305 „	110 „ 410 „	130 „ 490 „
5	50000 „ 200000 „	205 „ 435 „	245 „ 520 „	260 „ 545 „	305 „ 650 „	410 „ 870 „	490 „ 1040 „
6	200000 „ 600000 „	435 „ 740 „	520 „ 885 „	545 „ 930 „	650 „ 1105 „	870 „ 1480 „	1040 „ 1770 „
7	600000 „ 1000000 „	740 „ 835 „	885 „ 1000 „	930 „ 1040 „	1105 „ 1245 „	1480 „ 1670 „	1770 „ 2000 „
8	1000000 „ 2000000 „	835 „ 1000 „	1000 „ 1200 „	1040 „ 1260 „	1245 „ 1500 „	1670 „ 2000 „	2000 „ 2400 „
9	2000000 ଟଙ୍କା-ଟଙ୍କା	0,05%	0,06%	0,063%	0,075%	0,10%	0,12%

§ 3. სამუშაოთა ღირებულების გამოანგარიშება სწარმოებს წარდგენილ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; უკეთუ ეპევი აღიძვრის ხარჯთაღრიცხვის სისწორის თაობაზე ან იგი სრულიად წარდგენილი არ იქნება, ღირებულება გამოიანგარიშება გადიდრონებული მზომების მიხედვით.

§ 4. დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გარდაგეგმვის პროექტების განხილვისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს:

ფართობი	განხილვა			
	შესათანხმებლად	დასამტკიცებლად		
10 ჰექტ.	50 მან.			100 მან.
10-დან 50 ჰექ.-მდე	50-დან 100-მან-დე	100-დან 200 მან.-დე		
50 „ 100 „	100 „ 150 „	200 „ 300 „		
100 „ 500 „	150 „ 250 „	300 „ 500 „		
500 „ 1000 „	250 „ 300 „	500 „ 600 „		
1000 „ 2000 „	300 „ 500 „	600 „ 1000 „		
2.000 მეტა	თვით. ჰექტარზე 25 კაპ.	თვით. ჰექტარზე 50 კაპ.		

შენიშვნა. დასახლებული ადგილების დაგეგმვის იმ პროექტზე, რაც სხვა პროექტის შემადგენლი ნაწილია, განსაკუთრებული გამოსალები, გარდა 1-ლ და მე-2 სქ-ში აღნიშნული გამოსალებისა, გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

§ 5. 1-ლ, მე-2 და მე-4 სქ-ში აღნიშნული რაოდენობა გამოსალებისა პროექტების შესათანხმებლად გადახდევინებულ უნდა იქნეს ნახევარი რაოდენობით:

ა) უკეთუ შესათანხმებლად წარდგენილია საესკიზო პროექტი;

ბ) უკეთუ შეთანხმების შემდეგ პროექტი უნდა განიხილოს სამშენებლო კონტროლის ზემდგომში ორგანომ. (სამშ. კომ.).

უკეთუ შეთანხმებას აწარმოებს სამშენებლო კონტროლის იგივე ორგანო, რომელმაც უნდა დამტკიცოს უწყებული პროექტი, — გამოსალები შეთანხმებისათვის ცალკე არ უნდა იქნეს გადახდევინებული.

§ 6. პროექტის ხელმეორედ განხილვის დროს აღნიშნული გამოსალების გადახდევინება სწარმოებს შემდეგ საფუძველზე:

ა) უკეთუ პროექტი პირველად უარყოფილ იქნა (არ იყო შეთანხმებული ან დამტკიცებული) ფორმალური მიზეზების გამო, შინაარსობრივ განუხილველად, და, შენიშნულ ფორმალურ ნაკლთა აცილების შემდეგ, პროექტი კვლავ იქნა გან-

სახილველად წარდგენილი, გამოსალები ხელმეორედ გადახდევინებულ არ უნდა იქნეს;

ბ) უკეთუ პროექტი უარყოფილ იქნა შინაარსობრივ ნაკლთა გამო, მისი ხელმეორედ განხილვის დროს გამოსალები ხელმეორედ გადახდევინებულ უნდა იქნეს მხოლოდ ნახევარი რაოდენობით და ისიც ისეთ შემთხვევაში, ვინიცობაა პროექტის დასკირდა გადამუშავება არა ნაკლებ, ვიდრე 50%-ით.

შენიშვნა. დადგენილებაში პროექტის უარყოფის თაობაზე აღნიშნულ უნდა იქნეს საჭირო გადამუშავების ოდენობა ($50\%_0$ -ზე ნაკლები თუ მეტი); ამასთანავე, კერძოდ, უკეთუ შეცვლილია გენერალური გეგმა, შენობის აგებვის მეთოდის შეცვლით ან კონსტრუქციის შეცვლით, იმდენად, რომ საჭიროა მძღვანებელი კონსტრუქციის გარდაანგარიშება, პროექტი გადამუშავებულად ითვლება $50\%_0$ -ზე მეტი რაოდენობით.

გ) უკეთუ პროექტი იხლვება ხელმეორედ იმის გამო, რომ მუშაობა დაწყებულ არ იქნა ერთი წლის გადაზე დამტკიცების შემდეგ, გამოსალები გადახდევინებულ უნდა იქნეს ნახევარი რაოდენობით.

§ 7. ტიპობითი პროექტის დამტკიცებისათვის 1 და 2 წყ-ში აღნიშნული გამოსალები გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთი-სამაც.

ისეთი პროექტის შეთანხმებისა და დამტკიცებისათვის, რომელშიაც ყველა ნაგებობა პროექტირებულია სათანადოდ დამტკიცებული ტიპობითი პროექტის მიხედვით, გამოსალები გადახდევინებულ უნდა იქნეს ნახევარი რაოდენობით.

§ 8. უკეთუ პროექტი სამშენებლო-სატექნიკო კომიტეტებს ან სამშენებლო კონტროლის ორგანოებს ექსპერტიზისათვის გადაეცემათ, გამოსალები გადახდევინებულ უნდა იქნეს 1, 2 და 4 წყ-ში აღნიშნული რაოდენობით, როგორც დამტკიცებისათვის.

§ 9. ზემოაღნიშნულ სამუშაოთა მოცულობაში შედის მხოლოდ წარდგენილ გამოანგარიშებათა საერთო გადასინჯვა და ამორჩევითი შემოწმება. უკეთუ პროექტის წარმდგენ ორგანოს ესაჭიროება გამოანგარიშებათა მთლიანი შემოწება, მან ასეთი შემოწმებისათვის სასყიდელი უნდა გადაიხადოს ცალკე, გამოანგარიშებათა რევულის თვითეული გვერდის მიხედვით:

ა) სახელმწიფო დაწესებულებამ, კოოპერატიულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ —ხუთ-ხუთი მან, ხოლო არა ნაკლებ ხუთმეტი მანეთისა თვითეული შემოწმებისათვის;

ბ) კერძო პირმა, საზოგადოებამ და საჭარბომ —ათ-ათი მან., ხოლო არა ნაკლებ ოცი მანეთისა თვითეული შემოწმებისათვის.

§ 10. წარმოებითი ხარჯთალრიცხვების თაობაზე დასკვნის მიცემისათვის გამოსალები გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი შკალის მიხედვით (გვ. 206):

ნომერი	სამუშაოთა ღირებულება	ბინათმენებ-ლობა	სხვა სახის მშენებლობა				კუთხით პირთა და დაწესებულებათ.
			სამ. და ადგილ. ბიუჯეტზე მუოფი ორგანოებისათვის	სამშენებლო თარგანი, კომპრესიულისა და სას. დაწესებულება	სამშენებლო თარგანი, კომპრესიულისა და სას. დაწესებულება	სამშენებლო თარგანი, კომპრესიულისა და სას. დაწესებულება	
1	3.000 მანეთიშვე	6 მან.	9 მან.	12 მან.	18 მან.		
2	3000 გ.-დან 5000 გ.-დე	6-დან 10-გ-დე	9-დან 15 გ.დე	12-დან 20 გ.დე	18-დან 30 გ.დე		
3	5000 „ 10000 „	10 „ 25 „	15 „ 35 „	20 „ 45 „	30 „ 70 „		1
4	10000 „ 50000 „	25 „ 85 „	35 „ 115 „	45 „ 145 „	70 „ 230 „		1
5	50000 „ 200000 „	85 „ 140 „	115 „ 190 „	145 „ 235 „	230 „ 380 „		
6	200000 „ 600000 „	140 „ 220 „	190 „ 290 „	235 „ 360 „	380 „ 580 „		
7	600000 „ 1000000 „	220 „ 250 „	290 „ 350 „	360 „ 450 „	580 „ 700 „		
8	1000000-დან	0,025%	0,035%	0,045%	0,07%		

§ 11. უკეთო დასკვნა გამოსატანი საორიენტირო ხარჯთაღრიცხვის თაობაზე (რაც გადაიღრუნებული მხომების მიხედვით არის შედგენილი), გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს მე-10 წ.-ში ოღნიშნული გამოსაღების ნახევარი რაოდენობით.

§ 12. დასკვნა ხარჯთაღრიცხვის თაობაზე გამოიტანება წარდგენილი მასალების საერთო განხილვისა და ამორჩევითი შემოწმების მიხედვით. უკეთო ხარჯთაღრიცხვის წარმდგენ ორგანოს ესაკიროება სახარჯთაღრიცხვი გამოანგარიშებათა მთლიანი შემოწმება, ამისათვის მან სასყიდელი უნდა გადაიხადოს ერთი-ორად ჩვეულებრივ დასკვნასთან შედარებით.

§ 13. სამშენებლო სამუშაოთა საწარმოებლად ნებართვის მიცემისათვის გამოსაღები გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

§ 14. სამშენებლო კონტროლის აღგილობრივი ორგანოების მიერ ახლად აშენებულ ან კაპიტალურად გადაეკეთებულ შენობათა და ნაგებობათა ტეხნიკური დათვალიერებისათვის, ამ შენობათა და ნაგებობათა ექსპლოატაციის დაწყების მიზნით, გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით, რაც დამოკიდებულია შენობის თუ ნაგებობის სრულ ლირებულებაზე და ექსპლოატაციის განმახორციელებელი ორგანოს კატეგორიაზე:

როცა შენობა თუ ნაგებობა ლირს	სახელმწ. თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანოები	სამეურნ. ორგანოები, კოოპრაცია და საზოგადოებრ. დაწყებები	კერძო პირი, საზოგადოებანი და საწარმონი
20000-მან.-დე	10 მან.	15 მან.	30 მან.
100000-მან.-დე	20 "	30 "	60 "
300000-მან.-დე	40 "	60 "	120 "
300000 მან. მეტი -	50 "	75 "	150 "

§ 15. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებისა, სასამართლო ორგანოებისა, იგრძელებულ საზოგადოებრივი ორგანოების გაწვევით აღგილობრივ ტეხნიკური დათვალიერებისა (მე-14 წ.-ში ოღნიშნული დათვალიერების გარდა) და ტეხნიკური ექსპერტიზის წარმოებისათვის და ვაჭრობის ჩატარებაში მონაშილეობისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს განცხადების მიღებასთან ერთად ათ-ათი მან. თვითეული გაწვევისათვის.

უკეთო სამშენებლო კონტროლის ორგანოს მიერ წარგზავნილი წარმომადგენელი დათვალიერებისა, ექსპერტიზისა ან ვაჭრობის წარმოების აღგილას ერთ საათზე მეტ ხანს იქნა განკრებული, დამატებით გადახდევინებულ უნდა იქნეს ხუთ-ხუთი მან. თვითეული შედეგები საათისათვის (არასრული საათების ჩავალითაც), ხოლო არა უმცესეს ოცდაათი მანერისა სამუშაო დღისთვის; ეს გამოსაღები შეტანილ უნდა იქნეს დათვალიერებისა თუ ექსპერტიზის აქტის მიღებაშე ან სავაჭრო ფურცელზე ხელმოწერამდე.

աղոնշնոր սամշառութակ թարմութեածատակու կը հմա პորուսա, սահոցալութեածա և սահարման մովազարութեածա աղոնշնոր գամուսալութեա գաճախքայնեածնոր պնդա օյնես յրութ-գաճախքարու հառալունակութա.

Ցենո՛Շենա 1. յիշերութեած մուշալութեած առ Ցեալութեած դաժոմեցածա, աշերուլունակութեածա, խաջութալութեածա, յայութեածա և սեպ. Ցեալութեածա սամշառութակ թարմութա. պայտա սապուրա, յիշերութեած իշեցնակու, ասցու սամշառութեած թարմութա մութեած ոմ որշանան զայնարշա-լութեած և սահսարութ, հոմելմաց մուտեալու դատալութեած ու յիշերութ-իսա.

Ցենո՛Շենա 2. սամշենեած կոնցրուլուս գագուլութեած որշանութեած մոյր ուստու Ցենունակու գագուլութեած բայենուրութ դատալութեած սատուս, հոմլուս մըցումա- հութեած սագութեալ թարմութեան սահոցալութեած ու պնդա սամշենեած սատուս, զամուսալութեած գաճախքայնեածնոր պնդա պնդա օյնես.

§ 16. պայտա համուլուլ սամշենեած պայտա սամշենեած սապուրա օյնեսա, հոմ սատանալու սամշենեած սապուրա կոմիւրութ ան սամշենեած կոնցրուլուս որ- շանա տակուս սամշենեած ագուլուս ուրացլութ զարեց զացութեա, դանցրուրութեալմա որշանութ, նշեմունուշնոր զամուսալութեած զարդա, պնդ ու զաուլուս զամարեածութ ხար- չեած թարմունեածա թեսաեթ մոմիշեած թիշեած մոյեցութ.

§ 17. նախաեածա, զամունաճարութեած զարդա թենուրութ գոյալութեած ալութեած դամովիշեած սատուս սաելմութու և սամշենեած որշանութեած, կոնցրուլութ և սահոցալութեած որշանութեած զաճաճելութատ տուտ ման. թիշեած տուտ զայրութեած ան նախան տուտ ուրամմարտասատուս, եռլուս առ նայլուս սամու մանցտաս տուտ դամովիշեած սատուս. ասցուցա զամուսալութեած կը հմա პորս և որշանինացիս զաճաճելութ ծա յրութ-որշալ.

Ցենո՛Շենա. նախաեածա զա թենուրութ գոյալութեած ալութեած սամշե- նեած կոնցրուլուս որշանա դամովիշեած մեռլութ ոմ Ցեմութեացա մու, պայտա յը նախաեած զա գոյալութեած մաստան առուս սապարմութեալ.

§ 18. ուստու սամշառու պայտա սամշենեած սատուս, հաց ամ թիշեած դատալութեա պնդութ առ առուս, զամուսալութեած հառանունա զանսանցուրութ դանցրուրութեալմա որշանութ զա սամշենեած կոնցրուլուս սատանալու որշանա զա սամշենեած պնդութ յրութեարտան Ցեանեմեցա.

§ 19. սամշենեած սապուրա կոմիւրութեած զա սամշենեած կոնցրուլուս ագուլութեած որշանութ պայտա սամշենեած ամ թիշեած համուուլուլ սամշառութ Ցե- սամշենեած մեռլութ մաս պայտա համար առ պնդութ ոյնեսա լունա սատանալու զա- մուսալութեած պայտա սամշենեած.

Պայտա զամուսալութեած նշեմունեածութ տանսա զանսանցուրութ պայտա սա- մշառութ պայտա սամշենեած (մագ. § 15), մեռլութեած դաշութեամութ զամուսալութ պայ- տա նշեմունեած նոնասպարու սապարմարութեած մոյեցութ, ոմ პորութ, հոմ զամուսալութեած սամշենեած զամուսալութ զամուսարութեած սատանա զա դանցլուս տանսա դամարեած օյնես նշեմունեած.

§ 20. ամուրացասուս սամշենեած սապուրա կոմիւրութեած զա պայտա համար պնդութ Ցեանեմեցա պայտա համար արակ կոնցրուլութ յրութեարտան պնդութ յրութեարտան պնդութ.

ზევდრი გამოსალები შეიტანება ამ სამშენებლო-სატექნიკო კომიტეტების სპეციალურ სახსარზი და იხარჯება მარტოლდენ მათი მოქმედების განვითარებისათვის. სხვა საჭიროებაზე ამ გამოსალებით შემოსული სახსარის მიქცევა არ შეიძლება.

§ 21. გამოსალები სამშენებლო კონტროლის აღვილობრივი ორგანოების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის შედის სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურ სახსარზი და იხარჯება მარტოლდენ სამშენებლო კონტროლის ორგანოების მოქმედების განვითარებისათვის. სხვა საჭიროებაზე ამ გამოსალებით შემოსული სახსარის მიქცევა არ შეიძლება.

§ 22. ზემოაღნიშნული გამოსალებით შემოსული სახსარის ხარჯების წესი განისაზღვრება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს მიერ 1928 წ. ივნისის 7-ს დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსცირ სახსალეო კომისართა საბჭოსი.

78. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში მემავალი რესპუბლიკურის სახელმწიფო და საზოგადოებრივ გამომცემლობათა დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს დებულება ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკურის სახელმწიფო და საზოგადოებრივ გამომცემლობათა შესახებ.

2. იმ გამომცემლობათა წესდებანი, რომელზედაც ვრცელდება 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულება და რომელიც დამტკიცებულ არიან ამა დადგენილების სამოქმედო შემოღებამდე, შეთანხმებულ უნდა იქნენ ხსენებულ დებულებასთან სამი თვის ვადზე მისი გამოქვეყნების დღიდან.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 28.
ტფილისი-სასახლე.

დებულება ა/ქსცსრ-ისა და მის შეღვენილობაზი უმავალი ამს-
პუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ გამომცემლო-
ბათა შესახებ.

კ ა რ ი Ⅰ.

ზოგადი დებულებანი.

1. დებულება ესე ვრცელდება იმ გამომცემლობებზე, სააქციო გამომცემ-
ლობათა გარდა (მუხ. 2), რომლებსაც მოაწყობენ ა/ქსცსრ-ისა და ა/ქსცსრ შედ-
გნილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოები და აგრძელვე
საზოგადოებრივი (პარტიული, პროფესიონალური, კომპერატიული და სხვ.) ორ-
განიზაციები განეთებისა, უზრნალებისა, წიგნებისა და ბეჭდებით სიტყვის სხვა
ნაწარმოებთა გამოსაცემად და გასაბრკელებლად, და რომლებიც მოქმედობენ
სამეცნიერო ანგარიშის პრინციპზე, იურიდიული პირის უფლებებით.

2. სააქციო საზოგადოების (საპათო ამხანაგობის) სახით მოწყობილი სახელ-
მწიფო და საზოგადოებრივი გამომცემლობანი ექვემდებარებიან სააქციო საზო-
გადოებათათვის არსებულ კანონმდებლობას (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 49 №-ი, მუხ. 500 და ა/ქსცსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37), იმ გამონაკლისით,
რომ მათ შეეფარდებათ ამა დებულების 3, 7, 8, 10, 12, 16, 23, 24, 25, 26,
27, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36 და 38 მუხლები და 39 მუხლის მეორე ნაწილი.

3. 1-ლი და მე-2 მუხლების თანახმად მოწყობილი გამომცემლობანი მოქმე-
დობენ განსაკუთრებული წესდებების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცდება ამა
დებულების მე-II კარით განსაზღვრული წესისამებრ. გამომცემლობანი არიან
მათ წესდებებში აღნიშნული ორგანოების ან ორგანიზაციების გამებლობაში,
შეადგენენ კველა თავიანთი წარმოებითი და სავაჭრო საწარმოთი ერთიან და-
მოყენდებელ სამეცნიერო ერთეულს და მოქმედობენ იმ საგეგმო დავალებათა შე-
საბამისად, რასაც დაამტკიცებენ აღნიშნული ორგანოები ან ორგანიზაციები—
ა/ქსცსრ ბეჭდებით საქმის კომიტეტთან და გამომცემლობათა მოქმედების იდე-
ოლოების მხარის მოწესრიგებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

4. გამომცემლობა იქნება იურიდიული პირის უფლებათ დღიდან მისი რე-
გისტრაციისა საგაჭრო რეესტრში.

5. გამომცემლობა თავის გალდებულებათათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ
თავისი კუთხით კონკრეტური, რომელზედაც, მომქმედი კანონმდებლობის თანახ-
მად, შეიძლება მიიღეს გადახდევინება.

საერთო-სახელმწიფო ხაზინა და სათანადო საზოგადოებრივი ორგანიზა-
ციები გამომცემლობის ვალებისათვის პასუხს არ აგებენ. გამომცემლობა პასუხს
არ აგებს სახელმწიფოს და სათანადო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალე-
ბისათვის.

6. ის ტერიტორია, რომელზედაც გამომცემლობას უფლება აქვს გახსნას
განყოფილება, კონტორი, საწყობი, საგვანტო და მაღაზია, განისაზღვრება მისი
წესდებით. საგარეო ვაჭრობაში გამომცემლობანი მონაწილეობას იღებენ სათა-
ნადო კანონებით დადგენილი წესისამებრ.



7. 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის გამომცემლობას უფლება იქვე აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საწარმოო, სადამშატებოო, საგაჭრო და საქრეაციო რჩერავი.

წესდებით გამოცემლობას შეიძლება მიენიჭოს უფლება, 1-ლ მუხლში აღნიშნულ ამოკანებთან ერთად, აწარმოოს აგრეთვე სხვათა გამოცემებისა და საწერი ქაღალდის საქონლისა, საკანცელოოს საგნებისა, თვალსაჩინობ ხელსაწყონი და სხვ. ვაჭრობა, აგრეთვე მიენიჭოს უფლება შეასრულოს თავის სტამბაში მესამე პირთა შეკვეთით ბეჭდვითი სამუშაოები.

8. გამომცემლობის საწარმოებო კაპიტალი საგაზიონო გამომცემლობისათვის უნდა იყოს არა ნაკლებ 5.000 მანეთისა, სხვა გამომცემლობათვის—არა ნაკლებ 25.000 მანეთისა.

9. ფედერატიული, რესპუბლიკანური და აღგილობრივი მნიშვნელობის გა-
მომცემლობებად ითვლებან ის გამომცემლობან, რომელიც ორიან ფედერატი-
ულ, რესპუბლიკანური ან აღგილობრივი ორგანოების გამგებლობაში—კუონი-
ლებისმებრ.

3 5 6 0 II.

ଲୋକରୁକୁ ଏହା ଏହା ହେଉଥିଲାକୁଣ୍ଡଳାଟିବା.

10. გამომცემლობა დაარსდება ა/კსუსრ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის ნებართვით. იმ საკითხებს, რაც გამომცემლობის დაარსების დროს კაპიტალებს ექვება, აგრეთვე საკითხებს გამომცემლობის საწყისდებო კაპიტალისა და წესდების შემდგომო შეცვლის თაობაზე გადასწყვეტს იგივე კომიტეტი — ა/კსუსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატით შეთანხმებით. ეს წესი არა ვრცელდება პარტიულ და პროფესიონალურ გამომცემლობებზე.

11. გამომცემლობის დაარსებისათვის ნებართვის მიღების შემდეგ მისი მომწყობი ფულერატიული, რესპუბლიკანური ან ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეადგენს გამომცემლობისათვის გადასაცემი ქონების საინვენტარო აქტებით და საინვენტარო ბალანსის და აგრძელებელი გამომცემლობის წესდებას, რომელშიაც აუცილებლად უნდა აინიჭოს:

5) იმ დაწესებულებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელშოდება, რომელის გამგებლობა შეიცავს გამოწერებლობას;

ბ) გამომცემლობის სსხელწოდება, მისი გამცემობის სამყოფელი აღგილი და აგრძელებული გამომცემლობის შედეგნილობაში შემავალი წარმოებითი ხასათის სა-წარმოთა ნუსხა და მათი სამყოფელი აღგილი; საყაპრო და სხვა დამხმარე სა-წარმონა წესრიგებაში არ აონინ შენიშვნა;

გ) გამომცემლობის მოქმედების საკანი;

დ) გამომცელობისათვის გადასაკეტი საწესლებო კაპიტალის ჩაოდენობა;

ე) გამგეობის რიცხვობრივი შედეგენილობა და უფლებამოსილობა.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრძოვე სხვა დებულებებიც, რაც კანონს არ ეწინაღმდეგება.

საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება გამომცემლობისათვის გადასაცემი ქონების შეფასების თანხით,—ამაში საერთო-სახელმწიფო ბრივი თუ ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული უკუდაუბრუნებელი ასიგნებიც.

შესდებას დაერთვის საინვენტარო ბალანსი.

შენიშვნა 1. უკეთუ წესდების შედგენის მომენტისათვის შეუძლებელია საინვენტარო ბალანსის შედგენა და საწესდებო კაპიტალის ზედმი-წევნით განსაზღვრა, ნებადართულია იგი წესდებაში აღინიშნოს საორიენტირო თანხით, საინვენტარო ბალანსის წარუდგენლად. ასეთ შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის ზედმიწევნითი რაოდენობა განსაზღვრულ და წესდებაში შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მაჩი თვის ვადისა პირველი საოპერაციო პერიოდის ბალანსის დამტკიცების დღიდან.

შენიშვნა 2. საინვენტარო აწერილობის შედგენისა და ქონების შეფასების საერთო წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც დაამტკიცებს ა/ქსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ა/ქსფსრ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის წარდგენით.

12. სახელმწიფო და საზოგადოებრივი გამომცემლობის წესდებას დაამტკიცებს ამ გამომცემლობის მომწყები ფედერატორული, რესპუბლიკანური ან ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია — კუთხით გამომცემლობის მთელ ქონებას საინვენტარო აწერილობის თანახმად (მუხ. 11).

13. წესდების დამტკიცების შემდეგ დაწესებულება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშაც გამომცემლობაა, დანიშნავს გამომცემლობის გამგეობას და გადასცემს მას განსაკუთრებული აქტით გამომცემლობის მთელ ქონებას საინვენტარო აწერილობის თანახმად (მუხ. 11).

ქონების მიღება და ჩაბარება სწარმოებს იმ დაწესებულებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, რომლის გამგებლობაშიც კამომცემლობაა.

გამგეობა შეამოწმებს საინვენტარო აწერილობასა და შეფასებას, შეადგენს შესავალ ბალანსს და განუცხადებს სათანადო ორგანოებს მოახდინონ გამომცემლობის რეგისტრაცია სავაჭრო რეგისტრაციის კანონის თანახმად.

ფედერატორული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გამომცემლობის წესდება, რეგისტრაციის შემდეგ, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს მისივე ხარჯით ა/ქსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონთა კრებულში — შესაბამისობით.

14. უკეთუ გამომცემლობის დაარსების დროს საჭიროა მიეჩინოს გამომცემლობას მიწა, ტყე, წყალი და წიაღისეულის საბაროები, ან ჩამორთმეული იქნეს ისეთი ქონება, რაც გამომცემლობის მომწყობ დაწესებულებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამგებლობაში არ არის, — სათანადო მოქმედება განხორციელებულ უნდა იქნეს სამისოდ დადგენილი წესის მიხედვით.

ვ ა რ ი III.

გამომცემლობის გართვა-გაშემძლობა.

15. იმ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის კომიტენტის: რომლის გამ-
გებლობაშიც გამომცემლობაა, შეაღენს:

ა) დაამტკიცოს, მომქმედი კანონების შესაბამისად, ახალ წარმოებითი სა-
წარმოთა მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა დამატებითი გაწყობის და
მათივე გაწყობილობის გადაკეთების გეგმა;

ბ) ნება დართოს იმავე წესით გამგეობას (ან გამომცემლობის ერთპიროვან
ხელმძღვანელს) შეიტანოს არსებითი ცვლილებანი დამტკიცებულ საწარმო-სა-
ფინანსო გეგმაში და ახალ წარმოებითი საწარმოთა მშენებლობისა და არსებულ
საწარმოთა დამატებითი გაწყობისა და მათივე გაწყობილობის გადაკეთების
გეგმაში („ა“ პუნ.);

გ) ნება დართოს ისეთ ნაგებობათა, შენობათა და გაწყობილობათა გა-
სხვისება ან დაგირავება, რამაც დაკარგა თავის საწარმო მნიშვნელობა, ხოლო
ისეთ ნაგებობათა შენობათა და გაწყობილობათა გამოკლებით, რაც დაძველე-
ბულია და უვარესი; ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევაში დაწესებულებას, რომ-
ლის გამგებლობაშიც გამომცემლობაა, შეუძლიან უფლება მისცეს გამგეობას
(ან გამომცემლობის ერთპიროვან ხელმძღვანელს) განახორციელოს ამა პუნქტში
აღნიშნული ესა თუ ის მოქმედება მის ნებადაურთველად;

დ) ნება დართოს ამა თუ იმ წარმოებითი საწარმოს იჯარით გაცემა და
აღება, იჯარის ვადის მიუხედავად, გარდა ისეთ საწარმოთა იჯარით აღებისა
და გაცემისა არა უხანგრძლივეს, ვიდრე ხუთი წლის ვადით, რასაც გამომცემ-
ლობისათვის დამხმარე საწარმოს ხასათი აქვს;

ე) დანიშნოს და დაითხოვოს გამომცემლობის გამგეობის წევრნი (ან გა-
მომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელი და მისი მოადგილე);

ვ) დაამტკიცოს გამგეობის წარდგენილება მთავარი ბუხალტერის დანიშ-
ვნისა და დათხოვნის შესახებ;

ზ) დაამტკიცოს ინსტრუქცია გამგეობისა თუ ერთპიროვანი ხელმძღვანე-
ლისათვის და მთავარი ბუხალტრისათვის—მომქმედი კანონებისა და გამომცემ-
ლობის წესდების საფუძველზე;

თ) დაამტკიცოს ინგრიში, ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიში;
გაანაწილოს მოგება და განსაზღვროს საშუალება გასული წლის ზარალის დასა-
ფარად; აგრეთვე დაამტკიცოს სალიკვიდაციო ანგარიში და ბალანსი, რისთ-
ვისაც უნდა დაიცვას განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესი;

ი) გადასწევიტოს საკითხები წესდებისა და საწესდებო კაპიტალის რაო-
დენობის შესახებ;

კ) ნება დართოს სარეზერვო კაპიტალისა და საწარმოს გაფართოების კა-
პიტალის ხარჯები;

ლ) ნება დართოს, რათა გამომცემლობამ მინაშილება მიიღოს სააქციო
საზოგადოებათა დაარსებაში, შეიძინოს სინდიკატებისა, სააქციო საზოგადოე-

ბებისა (საპაიო ამხანაგობებისა) და სხვა სავაჭრო-სამრეწველო შენაერთების აქ-ციები და პაიები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სასინდიკატო კონვენციებში და იმ საზოგადოებებში, რომელნიც არ მისდევენ მოგების მიღებას, რამდენადაც მათი ამოკანები გამომცემლობის მიზნებს შეესაბამება;

მ) ნება დართოს, სათანადო შემთხვევაში, დადგენილი წესის დაცვით, გრძელვადიანი სესხის აღება;

ნ) მოახდინოს გამომცემლობის რევიზია და მისი მოქმედების გამოკვლევა;

16. გამომცემლობის საწარმო-საფინანსო გეგმებს, იმ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის მიერ განხილვის შემდეგ, რომლის გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, დამტკიცებს ა/კსტსრ ბეჭდითი საქმის კომიტეტი.

17. გამომცემლობის გამგეობა დაინიშნება წესდებაში აღნიშნული ვალით, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე სამი წლით. გამგეობაში ირიცხება სამიღან ხუთ კაციდე, თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით. ამათ გარდა, დაინიშნებიან გამგეობის წევრთა კანდიდატები არა უმეტეს ორისა. გამგეობის ნაცვლად შეიძლება დაინიშნოს გამომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.

კანდიდატები ეწევიან გამგეობის წევრთა მაგივრობას, გამგეობის დადგენილებით, გამგეობის წევრთა დროებით არყოფნის შემთხვევაში.

უფლებამოსილობის ვადის გასელამდე გამგეობის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და გამგეობის წევრის ან გამომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელის და მისი მოადგილის დათხოვნა იმ დაწესებულებას თუ ორგანიზაციის, რომლის გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოაშეარავდება, რომ ისინი არ შესაბამებიან მათთვის დაკისრებულ მოვალეობას.

შენიშვნა. ყველა ის დადგენილება, რაც გამგეობას ქება, ურცელდება, შესაბამისობით, აგრეთვე გამომცემლობის ერთპიროვან ხელმძღვანელზე.

18. გამგეობა, იმ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის საერთო ზედამხედველობით, რომლის გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, დამოუკიდებლად აწარმოებს გამომცემლობის მთელ თვერატეულ და აღმინისტრატიულ მუშაობას; იგი განაგებს მის საქმეებს და ქონებას, სდებს კოლექტურ ხელშეკრულებებს, აგრეთვე სდებს ყველა სხვა გარიგებას და ეწევა ყველა თვერაცას, რაც გამომცემლობის გამგებლობის საგანს შეადგენს (მათ შორის — ნარდად მუშაობის და ყიდვა-მიწოდების ხელშეკრულობებს), და იგი გამოითხოვოს იმ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ნებართვას, რომლის გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რაც კინოში ზედმიწევნით არის აღნიშნული.

კერძოდ, გამომცემლობის გამგეობას ან ერთპიროვან ხელმძღვანელს ნება აქვს დამოუკიდებლად გაასხვისოს მის განკარგულებაში მოქცეული ქონება, შენობა და გაწყობილობა, რაც დაცველებულია ან უვარებისი. გამომცემლობის გამგეობისა თუ ერთპიროვანი ხელმძღვანელის მოვალეობანი ზედმიწევნით განისაზღრება გამომცემლობის წესდებაში.

19. გამომცემლობის გამგეობის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები ან გამომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელი და მისი მოადგილე მო-

ვალენი არიან მიიღონ ყოველი ღონისძიება გამომცემლობის წესდებაში იღნი-
შული მიწნების განსახორციელებლად და უნდა გამოიჩინონ მზრუნველობა და
წინდახედულება; ისინი პასუხს აგებენ დისკაპლინარული, სისხლის სამართლისა
და სამოქალაქო სამართლის წესით როგორც მათვების მინდობილი ქონების და-
ცვისათვის, ისე საქმის ყირათიანად წაყვანისათვის, მომქმედი ქანონების თანახმად.

20. რათა გამგეობის გადაწყვეტილება კანონიერი იყოს, სხდომის უნდა
დაესწროს წევრთა უმეტესობა, თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით.

გამგეობის გადაწყვეტილება გამოიტანება დამსტრე წევრთა მარტივი უმე-
ტესობით. უკეთუ ხმები თანასწორ გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლება. მი-
ღებული დადგენილება დაუყოვნებლივ ძალაში შედის.

შენიშვნა. უკეთუ შეუთანხმებლობა მოხდა თავმჯდომარესა და გამ-
გეობის უმეტესობას შორის, თავმჯდომარეს უფლება აქვს, პირადი პასუ-
ხისმებლობით, განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება და დაუყოვნე-
ბლივ უნდა აცნობოს იმ დაწესებულებას თუ ორგანიზაციას, რომლის
გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, შეუთანხმებლობის შინაარსი და მის
მიერ მიღებული ღონისძიებანი. იღნიშულ დაწესებულებას თუ ორგანი-
ზაციას უფლება აქვს გააუქმოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება.

21. გამგეობის სხდომისათვის წელგანილ უნდა იქნეს ოქმი, რომელსაც ხელს
მოაწერენ თავმჯდომარე და ყველა დამსტრე წევრი გამგეობისა. გამომცემლობის
ერთპიროვანი ხელმძღვანელი თავის დადგენილებებს გამოსცემს ბრძანების ფორმით.

22. გამგეობის წევრებს შორის მოვალეობათა განაწილება მოხდება გამგე-
ობისავე დადგენილებით.

ვ ა რ ი IV.

გამომცემლობის შეღვევენილობაში უმარტიველ წარმოებით სა-
არმოთა - გამგეობისათვის

23. გამომცემლობის შეღვენილობაში შემავალ ცალკეულ წარმოებით სა-
არმოთა უშუალო მართვა-გამგებლობა მიენდობა გამგეო, რომელთაც დანიშ-
ნავს და დაითხოვს გამომცემლობის გამგეობა (ან ერთპიროვანი ხელმძღვანელი),
და რომელიც მოქმედობენ ერთპიროვნობის პრინციპზე—გამომცემლობის გამ-
გეობის (ან ერთპიროვანი ხელმძღვანელის) მიერ განსაზღვრული უფლებამოსი-
ლობის ფარგლებში.

24. გამგეობისა (ან გამომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელის) და
წარმოებით საწარმოს გამგის ურთიერთობა, აგრეთვე ამ უკანასკნელის უფლე-
ბანი საწარმოს გამგებლობის სუვერობი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც
დაამტებიცებს გამგეობა (ან გამომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელი)
ა/კსტარ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის მიერ შემუშავებული ტიპობითი ინსტრუ-
ქციის საფუძველზე.

25. გამგე ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს ყველა ოპერაციას, განაგებს მი-
ნდობილ ქონებას თანახმად მისთვის მიცემული რწმუნებულობისა (მუხ. 29), ას-
რულებს გამგეობის (ან გამომცემლობის ერთპიროვანი ხელმძღვანელის) განკარ-

გულებებსა და დირექტივებს, პასუხისმგებელია გამგეობის წინაშე მისთვის მინდობილი ქონების დაცვისათვის და საქმის ყაირათიანიდ წაყვანისათვის, მომქმდი კანონების თანახმად.

26. საწარმოს ახალი მშენებლობისა, კაპიტალური რემონტისა, დამატებითი გაწყობისა და გაწყობილობის გადაკეობის გეგმებს გამომცემლობის გამგეობა (ან ერთპიროვანი ხელმძღვანელი) განიხილავს საწარმოს გამგის მონაწილეობით და, დამტკიცების შემდეგ, ამ გეგმებს შესარულებს. გამგი გამგეობის (ან ერთპიროვანი ხელმძღვანელის) კონტროლით.

დიდროვანი კაპიტალური რემონტის გეგმას დაერთვის სატიტულო სიები. ამ სატიტულო სიებს საწარმო შეადგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების ინსტრუქციის შესაბამისად. საშუალო და წერილ კაპიტალურ რემონტს, მიმდინარე რემონტს, წერილ მანქანათა და დამზარე გაწყობილობათა დადგმას აწარმოებს საწარმოს გამგე გამომცემლობის გამგეობის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, სატიტულო სიების წარუდგენლად.

27. წარმოების რაციონალიზაციას, კერძოდ — გამოგონებათა გამოყენებას, რამდენადაც ეს არ იწვევს საწარმო-საფრანგო გეგმით გაუსვალისწინებელ დიდ ხარჯებს, ანხორციელებს საწარმოს გამგე დამოუკიდებლად, ხოლო ამას იგი დაუყოვნებლივ აცნობებს გამომცემლობის გამგეობას (ან ერთპიროვან ხელმძღვანელს).

28. იმ კეონომიის განსაზღვრული ნაწილი, რაც მიღებულ იქნება წარმოებითი საწარმოს მოქმედების შედეგად, ხოლო ისე-კი, რომ პროდუქციის ლირსება არ დაეცეს, გადაიცემა წარმოებითი საწარმოს განკარგულებაში. ეს კეონომია უნდა შეადგნედს განსხვავებას წინასწარი კალექტურული მიხედვით განწეს-შეკვეთაში დადგენილ პროდუქციის თვითონირებულებას (საწარმოსათვის) და საბოლოო კალექტულაციით დადგენილ ნამდგილ თვითონირებულებას შორის. აღნიშნული კეონომიის ნაწილის რაოდენობას ცალკეული საწარმოსათვის განსაზღვრავს გამომცემლობის გამგეობა (ან ერთპიროვანი ხელმძღვანელი), საწარმოს გამგის მონაწილეობით, განსაკუთრებული ინსტრუქციით დადგენილი ნორმების ფარგლებში. ეს ინსტრუქცია შედგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 31 მუხლის თანახმად გამოსაცემ ინსტრუქციისათვის შეფარდებით; მას დაამტკიცებს ა/კსფსრ ბეჭდვითი საქმის კოშიტეტი.

ამავე ინსტრუქციით, განსაზღვრება რა მიზნებისათვის და რაწესით იხარჯება კეონომიის ეს ნაწილი. ამა მუხლის თანახმად, აღნიშნული კეონომიის გამოყენება შეიძლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ.

29. ყველა იმ გარიგებას, რაც დაკავშირებულია საწარმოს მართვა-გამგებლობასთან, საწარმოს გამგე დასდებს გამომცემლობის სახელით გამომცემლობის გამგეობის (ან ერთპიროვანი ხელმძღვანელის) მიერ მისთვის მიცემული რწმუნებულობის თანახმად.

ვ ა რ თ ვ.

საეციალური კაპიტალები და მოგება.

30. საწესდებო კაპიტალის გარდა შეიქმნება:

ა) საამორტიზაციო კაპიტალი;

ბ) სარეზერვო კაპიტალი;

გ) გამომცემლობის გაფართოების კაპიტალი;

დ) მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი.

სხვა სპეციალური კაპიტალების შექმნა გამომცემლობისათვის შეიძლება ა/კსტრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს ნებართვით.

31. თვითუულ გამომცემლობაში ყოველწლიურად სწარმოებს იმ ქონების ამორტიზაცია, ასაც შეადგენს შენობა, გაწყობილობა, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნაებობა და სხვ.; ამორტიზაცია სწარმოებს აღნიშნული ქონების ლირებულების (ინვენტარში შეტანის მომენტისათვის მომხდარი შეფასების მიხედვით) განსაზღვრული პროცენტული ანარიცხის გადადებით საამორტიზაციო კაპიტალში, თანაბმდ იმ წესებისა, რაც დამტკიცებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ, და სსრკ-ის საგარეო და ზნა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტის მიერ აღნიშნული წესების შესაფარდებლად გამოყენების ინსტრუქციებისა.

საწარმოო მნიშვნელობის ქონების ამორტიზაცია შეიტანება პროდუქციის თვითონირებულებაში.

32. ყოველწელს, სათანადო წესით გამომცემლობის წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცებისას, განისაზღვრება გასული სიოპერაციო წლის მოგებისა თუ ზარალის რაოდნობა.

უკეთ გამომცემლობის ბალანსზე წარსული წლების ზარალია, მოგება მიუქცევა ამ ზარალის დასაფარვად.

ამის შემდეგ, დარჩენილი ნაწილი მოგებისა განაწილებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) 10%—გადაირიცხება მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში;

ბ) 20%—გადაირიცხება სარეზერვო კაპიტალში, ვიდრე იგი მიაღწევდეს ნახევარ საწესდებო კაპიტალამდე;

გ) ორა უმეტეს $\frac{1}{4}$ %-ისა—გადაირიცხება სათანადო ფონდში წამახალისებელ გასამრჯველოს მისაცემად მომქმედი კანონის შესაბამისად;

დ) მოგების დანარჩენი ნაწილი, იმ საპროცენტო ანარიცხების გამოკლებით, რაც სათანადო ორგანოების გადაწყვეტით მიიქცევა სპეციალური კაპიტალშის შესაქმნელად, წარიმართება საწარმოს გაფართოების ფონდში.

შენიშვნა 1. როდესაც სარეზერვო კაპიტალი ნახევარ საწესდებო კაპიტალამდე მიაღწევს, მისი ნაწილი, მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ, შეიძლება მიიქცეს გამომცემლობის საწესდებო კაპიტალის გასაღილებლად.

შენიშვნა 2. საწარმოს გაფართოების კაპიტალის დაგროვებისადმინედით მისი ნაწილი, მე-10 მუხლის წესისამებრ, შეიძლება მიიქცეს საწესდებო კაპიტალში.

შენიშვნა 3. მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან არა ნაკლებ, ვიღრე 75%-ი გადაირიცხება ბინათმშენებლობისათვის და დანარჩენი ნაწილი მიიქცევა მუშა-მოსამსახურეთა სხვა კულტურულ საკიროებათა დასაქმაყოფილებლად.

კ ა რ ი VI.

გამომცემლობის ანგარიშზება და მისი მოქმედების რეზიზია.

33. ყოველწლიურად, არა უგვიანეს სამი თვისა საოპერიციო წლის დამთვრებისას, გამომცემლობის გამგეობა (ან მისი ერთპიროვანი ხელმძღვანელი) წარუდგენს იმ დაწესებულებას თუ ორგანიზაციის, რომლის გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, და ა/კსტრ ბეჭდებით საქმის კომიტეტს, განსახილველად და დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ, ანგარიშს, ბალანსს და მიგებისა და ზარალის ანგარიშს.

ანგარიშისა და ბალანსის წარდგენის ვადის გადადება შეიძლება საჯარო ანგარიშგების წესებით გათვალისწინებული წესისამებრ.

34. გამომცემლობის საოპერაციო წლიწადი განისაზღვრება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-დე. უკეთუ გამომცემლობა მოწყობილია არა უგვიანეს სექტემბრის 30-სა, პირველი ანგარიში, ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიში შედგენილ უნდა უქნეს იმავე წლის დეკემბრის 31-დე განვლილი პერიოდისათვის; ხოლო, უკეთუ გამომცემლობა მოწყობილია სექტემბრის 31-ის შემდეგ, პირველი ანგარიში, ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიში შედგენილ იქნება საოპერაციო პერიოდისათვის გამომცემლობის მოწყობის მომენტიდან შედეგი წლის გასვლამდე.

35. ანგარიში, ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშის დამტკიცება უნდა მოხდეს არა უგვიანეს სამი თვისა ანგარიშის წარდგენის დღიდან. დამტკიცებული ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიში გამოქვეყნდება საჯარო ანგარიშგების წესებით გათვალისწინებული წესისამებრ.

36. გამომცემლობის მოქმედების ჩვენიშიას ანხორცილებენ ის დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიაც გამომცემლობაა, და ა/კსტრ ბეჭდებით საქმის კომიტეტი.

კ ა რ ი VII.

გამომცემლობის ლიკიდაცია, ზოგადობა და გაყოფა.

37. გამომცემლობა მოსპობს თავის მოქმედებას:

ა) ლიკვიდაციით;

ბ) სხვასთან შეერთებით ან შერთოვით და გაყოფით.

38. გამომცემლობის ლიკვიდაცია მოხდება:

ა) უკეთუ გამომცემლობა არსებული წესისამებრ ცნობილ იქნება არაშემძლელ;

ბ) უკეთუ გამომცემლობის შემდგომი არსებობა ცნობილ იქნება მიზანშეუწონლად, კერძოდ — ა/ქსტსრ ბეჭდებით საქმის კომიტეტის დადგენილებით;

გ) უკეთუ გამომცემლობა დაჭვარგავს თავისი საწესდებო კაპიტალი შემცირებულ არ იქნება არსებული წესისამებრ ან შევსებულ არ იქნება პირვანდელი რაოდენობის სამ შეხურდები უმეტეს რაოდენობამდე.

39. გამომცემლობის ლიკვიდაციას, ამა დებულების 38 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული მიზეზების გამო, მოახდენს იმ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის დადგენილების თანახმად, რომლის გამგებლობაშიც გამომცემლობაა, ამ დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

სალიკვიდაციო კომისიის შედგენილობაში შეეღლენ სათანადო საფინანსო ორგანოს და ა/ქსტსრ ბეჭდებით საქმის კომიტეტის წარმომადგენერიც.

შენიშვნა. გამომცემლობის ლიკვიდაციის წარმოების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს ა/ქსტსრ ბეჭდებით საქმის კომიტეტი — ა/ქსტსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

40. ერთი გამომცემლობის შეერთება მონეტაზონ მოხდება ამ უკანასკნელის წესდების სათანადო შეცვლით ამა დებულების მე-12 მუხლის წესისამებრ.

შეერთებული გამომცემლობის არსებობის მოსპობა და მისი აქტივისა და პასივის სხვა გამომცემლობაზე გადასვლა მომზღარულ ჩაითვლება სავაჭრო რეგულაზი ჩაიწერისთანავე.

შენიშვნა. ამა მუხლისა და ქვემომდევნო მუხლების მიხედვით პასივის გადასვლის ღრის შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მასში ინიშნული ყველა სახის კაპიტალი.

41. გამომცემლობათა შერთოვა მოხდება ახალი გამომცემლობის დაარსებოთ. გამომცემლობათა შერთოვა და აქტივებისაც და პასივების ახალ გამომცემლობაზე გადასვლა მომზღარულ ჩაითვლება სავაჭრო რეესტრში ჩაშერისთანავე. გამომცემლობათა შერთოვა სწარმოებს 10-12 მუხლების დაცვით.

42. გამომცემლობის ქრებიდან ნაწილის გამოყოფა სხვა გამომცემლობის მოსაწყობად მოხდება პირველი გამომცემლობის წესდების შეცვლით და ახალი გამომცემლობის დაარსებით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს 10-12 მუხლები. სავაჭრო რეესტრში უკვე არსებული გამომცემლობის წესდების შეცვლა და ახალი გამომცემლობის წესდების დამტკიცება ჩაიწერება ერთსადაიმავე დროს.

43. ერთი გამომცემლობის ორ ან მეტ გამომცემლობაზე გაყოფა მოხდება ახალ გამომცემლობათა დაარსებით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს 10-12 მუხლები.

ახალ მოწყობილ გამომცემლობათა რეგისტრაციასთან ერთად მათზე გადაეცა სათანადო წილადობით გაყოფილი გამომცემლობის აქტივი და პასივი.

ამავე დროს რეესტრში აღინიშნება, რომ გაყოფილი გამომცემლობის არსებობა მოისპო. გაყოფა მომხდარად ჩაითვლება რეესტრში ჩაწერისთანავე.

44. 40—43 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქტივი და პასივი გადავა რეორგანიზებულ გამომცემლობათა დამთავრებითი ბალანსების მიხედვით და შედგნილ იქნება სათანადო შესავალი ბალანსი.

დამთავრებითი და შესავალი ბალანსები წარიდგინება და დამტკიცდება საერთო წესისმებრ.

45. 42—43 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაწესდება სათანადო გამომცემლობათა სოლიდარული პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე იმ გალებისათვის, რაც წარმოიშვა მომხდარ ცულილებათა რეგისტრაციამდე; ამასთანავე, 42 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობა ახალი გამომცემლობისა განისაზღვრება მის განკარგულებაში გამოყოფილი აქტივთ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარობრივი ფინანსების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

79. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისარობა საბჭო ადგენერაცია:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697, 1927 წ. მე-9 №-ი, მუხ. 121, 1928 წ. 22 №-ი, მუხ. 264 და 1929 წ. მე-13 №-რი, მუხ. 104) შეტანილ იქნება შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. 23 მუხლს დაემატოს ლიტ. „ლ¹“ შემდეგი შინაარსისა:

„ლ¹“ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და გზათა სახალხო კოკომისარიის ქვემდებარებული ტყის ძირითად დამტაცებელთა იმ წმინდა მოვების ანარიცხი 15%—ის რაოდენობით, რაც საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემოსავალში შედის.“

2. 23 მუხლს დაემატოს ლიტ. „ნ“ შემდეგი შინაარსისა:

„ნ“ სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციითა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საბაოი ამხანაგობათა) საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები: 10%—სამრეწველო საწარმოთაგან შემოსული გადასახადისა და 20%—სხვ დანარჩენ გადამხდელთაგან შემოსული გადასახადისა.“

3. 23 მუხლს დაემატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 4. სოფლად ქერძო საჭარმოთა მფლობელთაგან გადახდე-
ვინებული სარეწაო და საშემოსავლო გადასახადების ჯარიმები მთლად
შევა სასოფლო ბიუჯეტებში, სარეწო გადასახადის იმ ანარიცხების და-
მოუკიდებლად, რაც გადადგბული ადგილობრივ სახსარში. იქ, სადაც სა-
სოფლო ბიუჯეტი არ არსებობს, ჯარიმები მიიქცევა სარაიონო ბიუჯეტში“.

4. 26 მუხლი შენიშვნითურთ გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მთადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდიგარი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 28.
ტფილისი-სახალე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.

მი. „სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის თაო
ბაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
1928 წ. იანვრის 16-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების
შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ
სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ის დადგენილებაში „სააქციო
საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“ (ა/ქსფსრ კან. ქრ.
1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. დაემატოს 1-ლ მუხლს ლიტ.-„ბ“ შემდეგი შინაარსისა:

„ბ“ სასოფლო-სამეურნეო საქციო საზოგადოებათა წესდებებს—ა/ქსფსრ მი-
წათომქმედების სახალხო კომისარიატი“.

2. დაემატოს მე-2 მუხლს ლიტ., „ბ“ შემდეგი შინაარსისა:

„ბ“ სასოფლო-სამეურნეო სახელი საზოგადოებათა წესდებებს—სათანადო
რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი“.

3. მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქცია:

„4. 1-ლი და მე-2 მუხლების „ა“, „გ“ და „გ“ ლიტერებში გათვალისწინებულ საქციო საზოგადოებათა წესდებების იმ ნაწილების დამტკიცება, რაც საზოგადოებათა კაპიტალებს ეხება, მოხდება სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით“

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მიადგილე ა. ბეგზალიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 28
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისას და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ს1. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენერ.

ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-ი, მუხ. 202) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 და მე-5 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ა/კსფსრ შრომის სხალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის კომიტეტი მოეწყობა შემდეგი შედეგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, და 8 წევრი: თოხი—ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან, ორი—ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან, ერთი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან და ერთი—საერთო წარმომადგენლი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სსრ-ების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისაგან. საბჭოს წევრებს დანიშნავენ სათანადო დაწესებულებათა ხელმძღვანელი, იმ პირობით, უკეთ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი საწინაღმდევოს არას განაცხადებს ამა თუ იმ კანდიდატურის თაობაზე“.

„5. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომებს დანიშნავს ხოლმე თავმჯდომარე თვეში ერთხელ მაინც“.

2. მე-6 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავჯდომარის მოადგილე ა. ბექზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის მდიგარი ა. შევარდოვი.

1930 წ. მარტის 28.

ტფილისი—სასახლე

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაბჭონილების საბჭო.

82. ა/ქსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/ქსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-17 მუხლის 1-ლ პუნქტს (ა/ქსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 166) დაემატოს ლიტ. „გ¹“ შემდეგი შინაარსისა:

„გ¹“ ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო სწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კომპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააკციო საზოგადოებათაგან (საპაიო ამხანაგობათაგან) შემოსული საშემოსავლო გადასახადის ანარიცები: 40%/₀-ი—სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთაგან შემოსული გადასახადისა და 79%/₀-ი—სხვა დანარჩენ გადამხდელთაგან შემოსული გადასახადისა.“

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავჯდომარის მოადგილე ა. ბექზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი
კომიტეტის მდიგარი ა. შევარდოვი.

1930 წ. მარტის 28.

ტფილისი—სასახლე

დადგენილება აგილრავებასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მ3. „ა/კსფსრ დიდროვან კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილების მე-7 და მე-8 მუხლების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ა/კსფსრ დიდროვან კელექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 72) მე-7 და 8 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. ცენტრალური ფონდის სახსარის გასანაწილებლად, ფონდების სახსართა გამოყენების გეგმების განსახილეველად და ამ გეგმების აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად—ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოსთან არსდება განსაკუთრებული კომიტეტი ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის კავშირთა კავშირისა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სამომხმარებლო კომპერატივების ამიერკავკასიის კავშირის თითო წარმომადგენლისა, „სახალხო კვების“ სააქციო საზოგადოების რწმუნებულისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიის პასუხისმგებელი მდივნის შედენილებით.“

„8. რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში თავმოყრილ სახსართა განკარგულება დაეკისრება რესპუბლიკანურ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებთან მოწყობილ კომიტეტებს შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების (თითო) შედგენილობით: კოლექტიურ მეურნეობათა რესპუბლიკანური ცენტრისა, სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის რესპუბლიკანური კავშირისა, რესპუბლიკანური მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, სამომხმარებლო და სარეწაო კომპერაციის რესპუბლიკანური კავშირისა, „სახალხო კვების“ სააქციო საზოგადოების რწმუნებულისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისთვის არსებულ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიების პასუხისმგებელ მდივნებისა.

რესპუბლიკანური კომიტეტი განიხილავს და დაამტკიცებს სახსართა გა-მოყენების გეგმას, გადასწყვეტს ცალეული კოლექტური მეურნეობებისათვის სესხის მიცემას, თვალყურს აღვნებს სესხის სათანადო გამოყენებას და კონტ-როლს გაუწევს სათანადო რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკში ფონ-დის სახსართა ტრიალს და აღნუსხვას".

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 წ. მარტის 28.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულე-
ბილი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.

84. ა/ქსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და
ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრა-
ლური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც დამოუკი-
დებელი უწყებების, და მათი ადგილობრივი ორგანოების გა-
უქმებისა და მათი ფუნქციების საგეგმო კომისიებისათვის გა-
დაცემის შესახებ.

"სსრკ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და მოვაკშირე
რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც და-
მოუკიდებელი უწყებების, და მათი ადგილობრივი ორგანოების გაუქმებისა და
მათი ფუნქციების საგეგმო კომისიებისათვის გადაცემის შესახებ" გამოცემული
სსრტ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა
საბჭოს დადგენილების თანახმად (სსრკ კრ. 1930 წ. მე-8 №-ი. მუხ. 97)
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო
კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/ქსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამსართველო, როგორც სახლო კომისარიატი, გაუქმდებულ იქნეს.
2. ა/ქსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამსართველოს აპარატი და ფუნქციები გადაეცეს ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რომლის შედგენილობაშიაც მოეწყოს სპეციალური ეკონომიკურ-სტატისტიკური სექტორი.
3. ა/ქსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს მიეცეს გადამწყვეტი ხმის უფლება ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.
4. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს პროექტი დადგენილებისა — ა/ქსფსრ კანონმდებლობაში იმ ცვლილებათა შეტანის შესახებ, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარება.
5. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოახდინონ ერთი თვის ვადაზე სათანადო რეორგანიზაცია თავიათ ცენტრალურ და ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოებში და შეიტანონ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1930 მარტის 28.
ტფილისი — სასახლე.